ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 16 აპრილი, 2020 №88 (8352) ფასი: 60 თეთრი

ალდგომის ღამეს მრევლი ტაძარში 21 საათზე მივა და ტაძარს დილის 6 საათზე დატოვებს

გვ.2

„მთავრობას უნდოდა, რომ პატრიარქს ალდგომაზე ხალხისგან სახლში დარჩენა მოეთხოვა“

ლადო სადღოგელაშვილი: „საგანგებო მდგომარეობის გახანგრძლივებას პოლიტიკური მიზანი აქვს“

გვ.3

კახა კოჟორიძე: „შესაძლოა, ოქრუაშვილი პრეზიდენტმა შეიწყალოს“

გვ.2

„როგორც ნაციონალური მოძრაობის დროს იყო სასამართლო პოლიტიკური გავლენის ქვეშ, ასევეა ახლაც“

„ოცნება“ წინასაარჩევნოდ საპატრიარქოსთან დაპირისპირებას ერიდება და ისევ გაჭირვებულ ადამიანებს ჩაგრავს“

„ადამიანები არ უნდა დათრგუნო, რომ მათ შეიძლება გრიპის ტოლფასი დაავადება შეეყაროთ“

გვ.4

თამარ ჩხეიძე: „ეკლესიის წინააღმდეგ აღმაშფოთებელი კამპანია მიმდინარეობს“

გვ.2

დეკანოზი შალვა კეკელია: „ალდგომისთვის შენობას ვამზადებთ, რომელშიც 2.000 ადამიანი დაეტევა“

ISSN 1987-9385

3 გია ვოლსკი: „ოპოზიცია ცდილობს, რაღაც თემები ხელოვნურად ნამოწიოს“

5 „არ დამალო ძალადობა!“ შსს-ს მესიჯები მოსახლეობას

2 თვითდასაქმებულების ოჯახების 46% სიღარიბის ზღვარს ქვემოთ აღმოჩნდა

6 აშშ-მ ჯანმოს დაფინანსება შეუწყვიტა „ამდენი ხალხის სიკვდილი მისი ბრალია“

კახა კოჟორიძე: „შესაძლოა, ოქრუაშვილი პრეზიდენტმა შეიწყალოს“

„როგორც ნაციონალური მოძრაობის დროს იყო სასამართლო პოლიტიკური გავლენის ქვეშ, ასევეა ახლაც“

იაგო ნაცვლიშვილი

ხელისუფლებისა და ოპოზიციის პოლიტიკური შეთანხმებიდან ერთი თვის თავზე, სასამართლომ ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი ოქრუაშვილი პატიმრობაში დატოვა. ხელისუფლება ისევ ამტკიცებს, რომ ეს საკითხი მოლაპარაკებისა და, შესაბამისად, შეთანხმების საგანი არ ყოფილა. არადა ამაზე 14 აპრილს, განაჩენის გამოცხადების მეორე დღესვე, ამერიკის საელჩომაც და ევროკავშირის ელჩმაც მკაფიო გზავნილები გააკეთეს და პოლიტიკურ მოტივაციასა და 8 მარტის შეთანხმების დარღვევას გაუსვეს ხაზი.

ამის მიუხედავად „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი მამუკა მდინარაძე ისევ აცხადებს, რომ შეთანხმება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის შედგებოდა ორი პუნქტისგან. პირველი შეეხებოდა საარჩევნო სისტემას – 120/30-ს და მეორე იმას, რომ პოლიტიკა არ უნდა შევიდეს და არ უნდა ჩაერიოს მართლმსაჯულებაში. მისი თქმით, წინა მმართველობისას იყო, როცა პოლიტიკოსები მოსამართლეებს კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებას სთხოვდნენ, რაც წარსულს ჩაბარდა.

კონკრეტულად რაზე საუბრობდნენ, როგორი ვარიაციით წარმოედგინათ საკითხის მოგვარება მსჯელობისას და რას ეუბნება პრემიერი საზოგადოებას, როცა ამბობს, რომ ეკლესია არ დაიხურება? – ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ლელოს“ ერთ-ერთი ლიდერი კახა კოჟორიძე საუბრობს.

იმაზე იყო საუბარი, რომ სასამართლო საკითხებში პოლიტიკური კომპონენტი არ უნდა იყოს ჩართული. მართალს გვეუბნება ხელისუფლება?

– საქართველოში შერჩევითი მართლმსაჯულების არაერთი მაგალითი გვაქვს, მათ შორის, „ქართული ოცნების“ ხელისუფლების დროს, ეს არის ფაქტი და მოცემულობა. ამის უარყოფა მხოლოდ ხელისუფლების მხრიდან ხდება, ესეც იმიტომ, თვითონ ხომ არ აღიარებენ იმას, რაც ყველასთვის ნათელია და ცხადი. ამის აღიარება არ ხდება ხოლმე არც ერთი ხელისუფლების მიერ. არათუ საქართველოში, ალბათ ჩრდილოეთ კორეაშიც არ აღიარებს კიმ ჩენ ინი ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს. ეს ზოგადად ხელისუფლებების დამახასიათებელი თვისებაა, რომ ისინი ისეთ მძიმე ფაქტს, როგორიც პოლიტიკური მართლმსაჯულებაა, არასოდეს არ აღიარებენ.

რაც შეეხება მოლაპარაკებებს, ამ მოლაპარაკებებისას ერთ-ერთი მძიმე საკითხი, რასაც ოპოზიცია თავიდანვე დღის წესრიგში აყენებდა და აუცილებელი პირობა იყო იმისთვის, რომ მოლაპარაკებები შედეგიანად დასრულებულიყო, იყო პოლიტიკური მართლმსაჯულება.

ამის არაერთი მაგალითი გვაქვს, მათ შორის, „ლელოს“ მაგალითიც, სადაც ხაზარაძის და ჯაფარიძის საქმე ამის კლასიკური მაგალითია. პროკურატურის მოწმეებიც კი იმას ადასტურებენ, რომ არანაირი ფულის გათეთრების ნიშნები არ იყო, ოპოზიცია ამას ამბობს, არასამთავრობებიც ამას ამბობენ, მაგრამ „ქართული ოცნების“ პროკურატურა მაინც აგრძელებდა ამ საქმის ყოველ მეორე დღეს განხილვას.

სერიოზული დარღვევები იყო სხვა არაერთ საქმეში, რაც ამძიმებდა ვითარებას და აღწევდა პოლიტიკურ პოლარიზებას, რაც არ შედის იმ ადამიანების ინტერესებში, ვისაც სურს, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით განვითარდეს.

– 14 აპრილს განცხადება გაავრცელა აშშ-ის საელჩომ, კომენტარი გააკეთა ევროკავშირის ელჩმა. სწორედ პოლიტიკური მიკერძოების ნიშნებზე ისაუბრეს. ამის შემდეგ, როცა „ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი ამბობს, რომ ოპოზიცია იტყუება, ამით საერთაშორისო საზოგადოებას შეურაცხყოფას არ აყენებს?

– ცხადია. იმიტომ, რომ ამ განცხადებით ხელისუფლება ამბობს, რომ საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლები საღ აზრს და ლოგიკურ მსჯელობას მოკლებულები არიან და ოპოზიციის ტენდენციური შეფასებების ტყვეობაში იმყოფებიან. რა თქმა უნდა, ეს მათი შეურაცხყოფაცაა. ეს ცალსახა დარღვევაა იმ შეთანხმების, რომელიც მოხდა. ვერ დავეთანხმები ხელისუფლებას, რომ არ იყო მსჯელობა პოლიტიკურ მართლმსაჯულებაზე. ის ტექსტიც კი, რომელიც ოფიციალურად იქნა შედგენილი, ხელმოწერილი და შემდეგ გამოქვეყნებული, ის ტექსტიც შეიცავს ამას. რა თქმა უნდა, იქ კონკრეტული საქმეების ჩამონათვალი არ მოხვდებოდა. ასე არსად ხდება, სადაც ხელისუფლება იტყოდა, რომ მე ამ კონკრეტულ საქმეებზე მივიღებ ამა და ამ გადაწყვეტილებას.

რაც შეეხება იმას, რომ „ქართულმა ოცნებამ“ რაღაც პირობა დადო და მერე იმას არ ასრულებს, ეს მე პირადად არ მიკვირს იმ ყველაფრის ფონზე, რასაც ჩვენ ამ წლების განმავლობაში ვუყურებთ. განსაკუთრებით, ამ საკონსტიტუციო ცვლილებების ჩავარდნის ფონზე.

„ოცნებამ“ დაიმკვიდრა ეს სახელი – „გადამგდები“. ამ პირობის არშესრულებაც მისი ხელწერაა, თუმცა, შესაძლოა, შეიცვალოს ვითარება. არც იმას გამოვრიცხავ, 1 თვის შემდეგ პრეზიდენტი გამოვიდეს და თქვას, რომ პოლიტიკური პროცესის მშვიდობიანად წარმართვისთვის ვიწყალებ ირაკლი ოქრუაშვილსო და ამით შესრულდეს ის შეთანხმება, რომელიც არსებობდა. არანაირი ინფორმაცია არ მაქვს შიგნიდან, უბრალოდ, ჩემს ვარაუდს ვამბობ. ირაკლი ოქრუაშვილის საქმე ნამდვილად არის პოლიტიკური მართლმსაჯულების ერთ-ერთი ცალსახა მაგა-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

პრემიერი: „წლის ბოლომდე მსოფლიო 3 მილიარდი დოლარით დაგვეხმარება“

– წლის ბოლომდე საერთაშორისო დახმარების სახით ჩვენთვის ხელმისაწვდომია დაახლოებით 3 მილიარდი აშშ დოლარის რესურსი. არც ერთ ქვეყანას ასეთი შედეგი არ აქვს.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოსთან არსებული ანტიკრიზისული ეკონომიკური ჯგუფის სხდომაზე განაცხადა.

პროცესის კიდევ უფრო ეფექტიანი, კოორდინირებული მართვისთვის, გიორგი გახარიას ხელმძღვანელობით მოქმედ უწყებათაშორის საბჭოსთან, ანტიკრიზისული ეკონომიკური ჯგუფი შეიქმნა, სადაც მთავრობის ეკონომიკურ გუნდთან ერთად მუშაობენ საკანონმდებლო ორგანოს დარგობრივი კომიტეტების წარმომადგენლები, ეროვნული ბანკი.

მთავრობის მეთაურმა, პანდემიასთან გამკლავების პარალელურად, ხაზი გაუსვა ეკონომიკური მდგომარეობის კრიტიკულ მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ ხელისუფლების ძირითადი ამოცანა ეკონომიკაზე მიყენებული ზიანის მაქსიმალურად შემცირებაა.

– თუმცა, ყველას უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენ ახლა ვართ კრიზისული მართვის პერიოდში და ვსაუბრობთ კრიზისის პერიოდში მართვაზე. შესაბამისად, ეს ანტიკრიზისული ეკონომიკური ჯგუფიც, რომელიც შექმნილია როგორც უწყებათაშორისი საბჭოს გაგრძელება, უკიდურესად მნიშვნელოვანია და არა რაღაც თეორიული საუბრებისთვის, არამედ კონკრეტული გადაწყვეტილებების მისაღებად.

ამოცანა მარტივია, ყველაფერი გავაკეთოთ, რომ ეკონომიკური ცხოვრება მაქსიმალურად სწრაფად, ეტაპობრივად ჩვეულ რიტმს დაუბრუნდეს. ერთ და ორ თვეში ვერ აღვიდგენთ იმ სასტარტო პირობებს, რომლებიც ჩვენ 2020 წლის დასაწყისში გვქონდა, მაგრამ 1,5-2 წლის განმავლობაში უნდა აღვიდგინოთ.

ერთმნიშვნელოვნად მადლობა უნდა გადავუხადოთ ფინანსთა სამინისტროს, ეროვნულ ბანკს იმ მუშაობისთვის, რომელიც მათ ერთობლივად, კოორდინირებულად გასწიეს დონორებთან და პირველ რიგში საერთაშორისო სავალუტო ფონდთან. ფონდის თანამშრომლობის გაფართოებული პაკეტი, რომელიც 450 მილიონამდეა, უკიდურესად მნიშვნელოვანია და აქედან 200 მილიონი უახლოეს დღეებში, აპრილის ბოლომდე საბიუჯეტო დახმარების სახით ქვეყნის ბიუჯეტში გაჩნდება. დონორებთან მუშაობის შედეგად, ქვეყნის ბიუჯეტს და ეკონომიკას, სახელმწიფოს ნაწილში წლის ბოლომდე ექნება 1,5 მილიარდი აშშ დოლარის დახმარება, ისევე, როგორც დონორებმა გამოთქვეს მზადყოფნა, რომ იგივე ოდენობის რესურსი ხელმისაწვდომი იყოს ჩვენი კომერციული საბანკო სექტორისთვის.

ეს ყველაფერი რომ შევაჯამოთ, წლის ბოლომდე საერთაშორისო დახმარების სახით ჩვენთვის ხელმისაწვდომია დაახლოებით 3 მილიარდი აშშ დოლარის რესურსი. არც ერთ ქვეყანას ასეთი შედეგი არ აქვს. ჩვენ ვიქნებით პირველები, ვინც სავალუტო ფონდთან განახლებული გაფართოებული პროგრამა შეათანხმა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ეს არის ის პირველი აუცილებელი ნაბიჯი, რაც კრიზისისას უნდა გადაგვედგა, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲦᲐᲛᲔᲡ ᲛᲠᲔᲕᲚᲘ ᲢᲐᲫᲐᲠᲨᲘ 21 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ ᲛᲘᲕᲐ ᲓᲐ ᲢᲐᲫᲐᲠᲡ ᲓᲘᲚᲘᲡ 6 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲑᲡ



– ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ მრევლი მივიდეს ტაძარში კომენდანტის საათის დაწყებამდე, 21:00 საათამდე და მსახურების შემდეგ ტაძარი დატოვოს დილის 6 საათზე.

ამის შესახებ გუშინ, 15 აპრილს, საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა, დეკანოზმა ანდრია ჯაღმაიძემ განაცხადა.

მისივე თქმით, ეს გადაწყვეტილება ხელისუფლებასთან ხანგრძლივი კონსულტაციის შემდეგ მიიღეს.

ამასთან, როგორც ჯაღმაიძე ამბობს, ეს არის ძალიან შეღავათიანი პირობა, რომ მრევლმა შეძლოს, სრულყოფილად მიიღოს მონაწილეობა სააღდგომო მსახურებაში.

– ყოველდღე იცვლება გარემოებები. მთავარი საკითხი, რაზეც უნდა შევთანხმებულიყავით, მოლოდინი ეხებოდა აღდგომის ღამის მსახურებას. ბევრი კონსულტაცია გახდა ამისთვის საჭირო. ბევრი პოზიციის დახვეწა და შეჯერება.

ჩვენ ამ პერიოდის განმავლობაში მუდმივად გვქონდა სახელმწიფოსთან არაერთი კონსულტაცია და საბოლოო ჯამში მივიღეთ აუცილებელი და საკმარისი პირობები იმისთვის, რომ ამ რთული ვითარების გათვალისწინებით არ მოხდეს მრევლისთვის ეკლესიების დახურვა და მათ შეძლონ დღესასწაულის აღნიშვნა ტრადიციულად. გათვალისწინებული იქნება ის მითითება, რაც სახელმწიფოს მხრიდან და ჯანდაცვის შესაბამისი სამსახურების მხრიდან იქნა მოწოდებული.

ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ მრევლი მივიდეს ტაძარში კომენდანტის საათის დაწყებამდე, 21:00 საათამდე და მსახურების შემდეგ ტაძარი დატოვოს დილის 6 საათზე. ეს არის ძალიან შეღავათიანი პირობა, რომ მრევლს შეეძლება სრულყოფილად მიიღოს მონაწილეობა სააღდგომო მსახურებაში, – განაცხადა მამა ანდრია ჯაღმაიძემ.

მისივე თქმით, დიდ ტაძრებში საუბარია 2-მეტრიანი დისტანციის დაცვაზე, პატარა ტაძრებში მრევლი უნდა იყოს მაქსიმალურად ეზოში და შესაბამისი დისტანციის დაცვით.

– ზოგიერთ ტაძარს, რომელსაც შესაძლებლობა აქვს, რომ წირვა შეასრულოს დილითაც, უნდა შეასრულოს წირვა დილითაც და მრევლს, რომელსაც გაუჭირდება ღამის საათებში დიდი ხნის განმავლობაში ტაძარში ყოფნა, მიეცემა საშუალება, რომ დილის წირვასაც დაესწროს. ამით გადანაწილდება მრევლი და უფრო იოლი იქნება ამ დისტანციის შენარჩუნება.

მოკლედ რომ ვთქვა, მთელი შინაარსი ჩვენი მიმართვისა მდგომარეობს იმაში, რომ კანონის დაცვით, კომენდანტის საათის დაცვით, იმ უსაფრთხოების წესების დაცვით, რაც დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრიდან გვესმის ჩვენ, მოვახერხოთ მოწესრიგებულად მსახურებაზე დასწრება, ვიზეიმოთ დღესასწაული და არ მოვაკლოთ არც ჩვენს მცდელობას, რომ ვზრუნავთ და არ მოვაკლოთ არც ლოცვას, რომ ღმერთი შეგვეწიოს ამ ჩვენს გულწრფელ მსახურებაში და ერთმანეთზე ზრუნვაში, – განაცხადა მამა ანდრია ჯაღმაიძემ.

ᲗᲕᲘᲗᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲔᲑᲘᲡ 46% ᲡᲘᲦᲐᲠᲘᲑᲘᲡ ᲖᲦᲕᲐᲠᲡ ᲥᲕᲔᲛᲝᲗ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ

პანდემიის პირობებში კრიზისის დროს ოჯახების რა ნაწილი აღმოჩნდება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ?

ეკონომისტებმა ირაკლი ყიფიანმა და დურუ მახარაძემ მორიგი კვლევა ჩაატარეს.

გაირკვა, რომ კრიზისის პერიოდში, თვითდასაქმებული ოჯახების თითქმის ნახევარი – 46%, აღმოჩნდა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, ჯამში კი 165.000 ოჯახი. ანუ კრიზისის პერიოდში, მთლიანი მოსახლეობიდან, ოჯახების 31.4%-36.5% აღმოჩნდება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ. ჯამში, 376.000-436.000 ოჯახი.

– კრიზისის პერიოდში შეუძლებელ ამოცანას წარმოადგენს ბაზების დალაგება და კრიზისისგან დაზარალებულების ზუსტი იდენტიფიცირება. ამიტომ, სოციალური პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს გამორიცხვის მეთოდს, თუ ვის არ ეკუთვნის და არა, ვის ეკუთვნის, დახმარება. თუ ჩვენ ნავალთ ამ მეთოდით, რომ გამოვრიცხოთ, ვის არ ეკუთვნის, შესაძლებელი გახდება მაღალშემოსავლიანი ჯგუფების და საჯარო მოხელეების გამოკლება.

ამ მიდგომით, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მიიღებს ფულად დახმარებას და ეს გამორიცხავს, რომ დახმარების გარეშე დარჩნენ კრიზისით დაზარალებული ოჯახები, – აღნიშნულია დოკუმენტში.

ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲖᲘ ᲨᲐᲚᲕᲐ ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲐ: „ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲡ ᲕᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ 2.000 ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲔᲢᲔᲕᲐ“



დეკანოზ შალვა კეკელიას განცხადებით, აღდგომის ღამისთვის შენობას ამზადებენ, სადაც 2.000-მდე ადამიანი დაეტევა.

მისი თქმით, შეეცდებიან, რომ დისტანცია დაიცვან.

– ჩვენ აღდგომა დღეს, ღვთის მადლით, ვაპირებთ დისტანციების დაცვას, ვამზადებთ ახლა შენობას, სადაც 2.000 კაცამდე შეიძლება დაეტიოს, სკამებსაც ვუმზადებთ ადამიანებს, მთლიანად ვახმოვანებთ ამ ტერიტორიას, რომ ადამიანებისთვის მარტივი იყოს ტაძარში მოსვლა.

ვიცი, რომ ღამისთევა ძალიან რთულია, მთელი ღამის განმავლობაში მოუწევთ აქ ადამიანებს ყოფნა. ადგილებსაც ვნიშნავთ, რომ ადამიანები დისტანციურად იდგნენ ერთმანეთთან. პირადად ვთხოვდი მთავროობის წევრებს, ამ ღამეს დაგვეხმარონ დისტანცირების დაცვაში.

ადამიანი, რომელიც კანონს არღვევს, ბუნებრივია, დაჯარიმდება, ამიტომ ითქვა, რომ 21:00 საათიდან დილის 6 საათამდე არის კომენდანტის საათი, ამ დროს ალბათ ქუჩაში არავინ უნდა იყოს. არ შეიძლება ამ დროს ადამიანი ქუჩაში იყოს და ეს კანონი დაარღვიოს, – განაცხადა დეკანოზმა „რუსთავი 2“-თან.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„მთავრობას უნდოდა, რომ პატრიარქს აღდგომაზე ხალხისგან სახლში დარჩენა მოეთხოვა“

ლადო სადღობელაშვილი: „საგანგებო მდგომარეობის გახანგრძლივებას პოლიტიკური მიზანი აქვს“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს ლადო სადღობელაშვილი პასუხობს.

– ლადო, ბოლო დღეებში იყო მოლოდინი, რომ სააღდგომოდ ტაძრები დაიხურებოდა. თუმცა მოვისმინეთ პრემიერის განცხადება, რომ მოსახლეობის კეთილგონიერების იმედი აქვს და ტაძრები არ დაიხურება. რას იტყვით თქვენ?

– სიმართლე გითხრათ, მე არც მჯეროდა, რომ ასეთი ბრძანება გაიცემოდა, რომ ტაძრები დაიხურებოდა. ეს არსად არ მომხდარა, არც ერთ ქვეყანაში და ჩვენთან რატომ უნდა მომხდარიყო?!

– სახიფათო ფაზაში შევდივართ და შესაძლოა სწორედ ახლა იყოს პიკი და აფეთქება.

– კორონავირუსის კუთხით, მსოფლიოში ყველაზე კარგ მდგომარეობაში ჩვენ ვართ. ერთ-ერთი პირველი ქვეყანა ვიყავით, რომელმაც დახურა ჩინეთთან მიმოსვლა. ასევე ირანთან მიმოსვლა, იტალიასთან მიმოსვლა. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ჩვენ კატასტროფულ შედეგებს არ უნდა ველოდოთ.

მე აქ ყველაზე მეტად გული მწყდება თვითონ მიდგომაზე აღდგომის მიმართ. აღდგომა სიკვდილზე გამარჯვების დღესასწაულია. ძალიან ბევრი პროფესიის ადამიანისთვის არის დაშვებული მუშაობა. ასევე ასობით და ათასობით ადამიანი შედის იმ ჰიპერმარკეტებში, სადაც სულ ჭედვაა და იქ თუ არ არის საშიში, რომ დაინფიცირდებიან, მაინცდამაინც ეკლესიაა ასეთი საშიში?! მარტო ეკლესიაში მისვლა არ შეიძლება თურმე.

– ლადო, აქამდე არ ყოფილა შემთხვევა, მაგრამ ორი დღის წინ სასულიერო პირიც დაინფიცირდა, ასევე საპატრიარქოს დაცვის თანამშრომელი. იქნებ ამიტომ მოუწოდებენ მრევლს მეტი სიფრთხილისკენ?

– ახლა რა ვქნათ, ამის გამო ეკლესიები დავხუროთ და აღარ ვიაროთ ეკლესიებში?! ეს ხომ არალოგიკურია. კი ბატონო, გასაგებია, რომ სასულიერო პირს დაუდასტურდა, მანამდე ჯარისკაცს დაუდასტურდა, კიდევ უფრო ადრე დაცვის წევრს, ექიმს დაუდასტურდა... ასე შეიძლება ყველა პროფესიის წარმომადგენელს დაუდასტურდეს კორონავირუსი და აქედან გამომდინარე რა გავაკეთოთ? მოდი მაშინ და სასწრაფო აღარ გამოვიძახოთ, რადგან ექიმს დაუფიქსირდა კორონავირუსი?! ასეთი მიდგომა ხომ არ შეიძლება?!

მე მიმაჩნია, რომ სწორედ ხალხის სურვილზე უნდა იყოს მიშვებული აღდგომის დღესასწაული. იგივე ჟურნალისტების მხრიდან ეს ყოველდღიური თავდასხმა ეკლესიაზე უნდა შეწყდეს! ამ შემთხვევაში რამდენიმე ტელევიზიას ვგულისხმობ. ბოლო პერიოდია, მთავარ ამბად მხოლოდ ეს აქვს ზოგიერთ ტელევიზიას გამოტანილი, რომ სასულიერო პირს ვირუსი დაუდასტურდა.

– ლადო, ამით რისი თქმა გსურთ, რომ მიზანმიმართული კამპანია მიმდინარეობს?

– ასეა. მთავრობის წარმომადგენლები როგორც კი შეხვდნენ საპატრიარქოში პატრიარქს და ვერ მიიღეს მისგან თანხმობა, წამოვიდა ეს კამპანია.

– საკმაოდ ხანგრძლივი მოლაპარაკებები მიმდინარეობდა...

– დიახ, მეც მაქვს ეს ინფორმაციები. თუმცა ვერ მიიღეს პატრიარქისგან თანხმობა და სწორედ ამის შემდეგ წავიდა მიზანმიმართული პრესინგი მთავრობის მხრიდან. ტელევიზიების უმეტესობა მთავრობის ინტერესების გამტარებელია. ის ტელევიზიები, რომლებიც ასე თავდასხმას ახორციელებენ ეკლესიაზე, პირდაპირ გეუბნებით, არიან სახელმწიფოს მხრიდან მომართულები.

ადამიანმა თავად უნდა გადაწყვიტოს, წავა თუ არა ტაძარში. პირადად მე თუ წავედი, არც ვაპირებ კანონის დარღვევას და ვინც წავა, ყველა ასე მოიქცევა. ტაძარში ყველა ზედმიწევნით იცავს წესებს და დისტანციას. ნეტა ასე სხვა დაწესებულებებში იცავდნენ.

– თუმცა ვნახეთ, რომ ბზობაზე არც ისე კარგი სიტუაცია იყო...

– კი, შესაძლოა, რამდენიმე ტაძარში იყო უწესრიგობა, მაგრამ ძალიან ბევრგან სამაგალითო წესრიგი იყო.

– ლადო, რა ულტიმატუმი წაუყენა ხელისუფლებამ საპატრიარქოს და რა პასუხი მიიღო? ტაძრების დაკეტვაც მოითხოვეს?

– არა, აქ საუბარი არ ყოფილა ტაძრების დაკეტვაზე. ღმერთმა დაგვიფაროს ტაძრის დაკეტვისგან. ასეთი ბრძანება კომუნისტებს არ გაუციათ. ასეთი რამ რომ ვინმემ იკადროს, ჩათვალეთ, რომ დამთავრებულია იმ ხელისუფალის საქმე.

აქ საუბარი იყო იმაზე, რომ პატრიარქი უნდა გამოსულიყო და ხალხისთვის გაეკეთებინა მოწოდება, სახლში დარჩენილიყვნენ, არ მისულიყვნენ ტაძრებში და ასე ჩატარებულიყო აღდგომა, მაგრამ ამაზე მიიღეს უარი.

ცხადი იყო, რომ პატრიარქი და მღვდელმთავრები ამ მოწოდებას არ გააკეთებდნენ და ამაზე ვერ შეთანხმდნენ. თქვენ ვერ წარმოგიდგენიათ, რამდენი ადამიანია ერთდროულად დიდ ჰიპერმარკეტებში. იქ არ არის საფრთხე დაავადების და ვირუსის გადადების?! თუნდაც ავიღოთ კარფური. ასობით ადამიანი დგას იქ ერთ სივრცეში და იქ არ არის იმის ალბათობა, რომ დაინფიცირდეს ხალხი?! მაშინ რატომ არ ხურავენ კარფურს?! ყველა პატარა მაღაზია დახურეს და კარფურს არავინ ეხება.

– ლადო, თავად გადახვედით ამ თემაზე და აქვე გკითხავთ. გამოიკვეთა ვიწრო ბიზნესინტერესები, ხდება ბიზნესების გამსხვილება, საშუალო და მცირე ბიზნესის ჩაძირვა. ასეა?

– ზუსტად ასეა! თითქოს კონცენტრირება ხდება რომელიღაცა ბიზნესზე. თუნდაც ავიღოთ ჰიპერმარკეტები. ვერ ეხებიან ორ ნაბიჯს და ვერ ეხებიან კარფურს. მიუხედავად იმისა, რომ ორი ნაბიჯი პატარა მაღაზიების ქსელია, მაინც ვერ ეხებიან. ამის მიზეზი იცით, რა არის?!

– რა?

– არის საუბარი იმაზე, რომ ივანიშვილის ოჯახის წევრების არის ეს ქსელი და ვერ ეხებიან ორ ნაბიჯს. ორ ნაბიჯს რომ ვერ ეხებიან, სწორედ ამიტომ ვეღარ ეხებიან ნიკორას და სპარს, რომ მერე არ ატყდეს ამაზე დიდი ამბავი.

ამ ინფორმაციას რომ არ გაეჟონა ორ ნაბიჯზე, მე დარწმუნებული ვარ, რომ ნიკორაც დაიხურებოდა და სხვა პატარა ქსელური მარკეტებიც. სხვადასხვა სადეზინფექციო მაღაზიებს რომ ხურავენ, იგივე სუფთა სახლს, ესეც ხომ ნიშანია იმის, რომ ხალხს შეგნებულად აიძულებენ, რომ, მაგალითად, წავიდნენ და იყიდონ კარფურში.

გაუგებარ რაღაცებს სჩადიან. მთელ მსოფლიოში, ყველგან შეიძლება პარკებში სეირნობა, საქართველოში არ არის ეს დაშვებული. ჩვენ პრაქტიკულად პატიმრებზე უარეს დღეში გვაგდებენ. გამოკეტილები ვართ ჩვენს სახლებში.

– დარჩი სახლში სწორედ ამას გულისხობს...

– ასეც არ შეიძლება, მზის სხივი თუ არ მოხვდა ადამიანს, დე ვიტამინს ვერ გამოიმუშავებს. დე ვიტამინი, ისევე, როგორც ცე ვიტამინი, აუცილებელია ადამიანის იმუნიტეტისთვის. ეს როგორ უნდა გამოვიმუშავო, თუ მზეზე გასვლა არ შეიძლია?!

– ეს რომ დაუშვან, ხალხმრავლობა იქნება და ვირუსიც მარტივად გავრცელდება.

– აბა ცოტა ჰაერის შესუნთქვა არ გვჭირდება?! ძალიან ბევრი უაზრო რეგულაციაა. ჩვენ ოთხნი ვართ ოჯახში და ერთ ავტომობილში სამზე მეტის ჩაჯდომა არ შეიძლება, რა ვქნათ?! კარგი, ეს გადავყლაპე, გადავყლაპე ისიც, რომ 9-ის მერე კომენდანტის საათია, თუმცა ესეც გაუგებარია, რაში სჭირდებოდათ კომენდანტის საათის შემოღება, მაშინ როდესაც, ნახევარი თბილისი მაინც მოძრაობს. იმიტომ მოძრაობს, რომ ე.წ. ნარუშილოვკები ამათ ნათესავებს აქვთ ისევ და ამათი შვილები და შვილიშვილები და მეგობრები მოძრაობენ ღამის თბილისში.

– ამაზეც მოქმედებს სანაცნობო წრე?

– რა, არ იცოდით?! 10 დღის წინ, არ დავასახელებ შეგნებულად გამგეობას, ერთ-ერთი გამგეობის წევრი ქალბატონი, რომელიც იმ გამგეობაში არ წარმოადგენს არაფერს, არ არის მაღალ დონეზე მომუშავე ადამიანი, არის რიგითი საბუთების ჩამბარებელი, აი, ეს ადამიანი დავინახე, ფოტოებით თავს იწონებდა ღამის პირველ საათზე ერთ-ერთ უბანში. თანაც ფოტოებს ზემოდან ეწერა, დარჩი სახლშიო! ღამის პირველ საათზე ფოტოს დებს და იძახის, დარჩი სახლშიო. დაგვცინიან თუ რა ხდება, ვერ გავიგე?!

ამის შემდეგ მივყევი და გადავედი რამდენიმე პარლამენტარის და მინისტრის შვილების ფეისბუქგვერდებზე.

– არც ისინი იცავენ შემოღებულ წესებს?

– ხომ იცით, თბილისია და აქ არაფერი არ იმალება. მქონდა გარკვეული ინფორმაციები და გადავამოწმე. რას ვხედავ, ეს პატარა გოგობიჭები, რომლებიც ზოგი ამის შვილია, ზოგი იმის, ზოგიც ახლობელ-მეგობარი, არაფერს არ წარმოადგენენ, მაგრამ მათ აქვთ იმის უფლება, რომ ღამე იმოძრაონ ქუჩაში. ჩვენ კი 5 წუთი თუ გადაგვიცდა 9 საათს, 3 ათასი ლარით გვაჯარიმებენ. ამიხსნას ვინმემ, რატომ დააწესეს ეს კომენდანტის საათი, კაფეში წავიდოდით თუ რესტორანში? ხომ ვიცით, რომ ყველაფერი დაკეტილია. მართლა ვერ გავიგე აზრი, რაში სჭირდებოდათ კომენდანტის საათის დანიშვნა.

– საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათი 10 მაისამდე გახანგრძლივდა. რამდენად გვიშველის ეს შეზღუდვები და რეგულაციები?

– სანამ ამაზე ვისაუბრებ, კიდევ ერთ საინტერესო დეტალს მინდა რომ შევეხო. კვირა საღამოს რომ შევხედე კორონავირუსით დაავადებულთა სტატისტიკას, იყო 240 ადამიანამდე. 15 აპრილს დილით კი უკვე 306 იყო.

– ამით რისი თქმა გსურთ?

– ამით იმის თქმა მინდა, რომ ბოლო სამ დღეში მიზანმიმართულად დაამძიმეს სიტუაცია, რომ ხალხი დააშინონ. ხაზგასმით ვამბობ, რომ სტატისტიკის რაოდენობა შეგნებულად გაიზარდა. ეს გაკეთდა იმისთვის, რომ ჩვენ არ გამოვთქვათ პრეტენზია იმაზე, რომ გაახანგრძლივეს საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათი, არ გამოვთქვათ პრეტენზია, რომ ჩაიკეტა დიდი ქალაქები.

– რას ნიშნავს მიზანმიმართულად დაამძიმეს? იმალებოდა აქამდე სტატისტიკა თუ გაბერილია ეს რიცხვი?

– მე რისი თქმა მინდა იცით, რომ ადრე არ ხდებოდა ხალხის დატესტვა, როცა დატესტვა არ ხდება, ვერც გამოავლენ დაავადებულს. ახლა კი შეგნებულად კეთდება ეს ყველაფერი, რომ რაც შეიძლება მეტი გამოავლინონ და გაამართლონ საკუთარი ქმედებები. სხვანაირად როგორ შეიძლება ორ დღეში ასე გაზრდილიყო მაჩვენებელი?!

ახლა გადავიდნენ ფსიქოლოგიურ ტერორზე. ძალიან დიდი ეჭვი მაქვს, რომ აღდგომამდე გარდაცვლილთა რიცხვიც გაზარდონ. ეს კი სჭირდებათ პანიკის შესაქმნელად, რომ ხალხი სახლებში გამოამწყვდიონ და აღდგომას არავინ გაბედოს ტაძარში წასვლა.

ესენი რატომ წელავენ ასე საგანგებო მდგომარეობას, როცა პირველ მაისს ამერიკა ხსნის ამ შეზღუდვებს, მაშინ როცა, საფრანგეთი გადადის ჩვეულ რეჟიმში და სკოლებს და სბავშვო ბაღებს ხსნის. ჩვენთან კი იმის მაგივრად, ნელ-ნელა მოიხსნას შეზღუდვები, პირიქით, გვიხანგრძლივებენ. სკოლაზე კი საუბარი საერთოდ არ არის. გამოკეტეს ბავშვები სახლში. საშინელებაა დისტანციური განათლების მეთოდი! აი, ასეთ დღეში უნდა გვამყოფონ და რატომ აწყობთ ეს ყველაფერი?!

– რატომ?

– ეს ყველაფერი პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე ხდება. ბიზნესი და პოლიტიკა. ეს ორი ბმაშია ერთმანეთთან. აქ იმხელა ფული კეთდება, რომ შესაძლოა ზოგმა არც იცოდეს, რა ხდება. გამოგვკეტავენ 9 საათზე სახლში და მერე რა შავბნელი საქმეები იხლართება, კაცმა არ იცის!

იგივე კარფურის თემაც. წარმოგიდგენიათ, ბაზარი დახურეს და კარფური ღია დატოვეს. იქ სუფთა ჰაერზე მაინც იყიდებოდა პროდუქტი. აქ კი, ამ დახურულ სივრცეში ამდენი ხალხია. კარფურში უფრო დიდი არ არის იმის ალბათობა, რომ დაავადდე?!

სამწუხაროდ, ასეთი მიდგომები გვაქვს. რასაც უნდათ, იმას აკეთებენ. ხომ ვნახეთ, სათავისოდ იყენებენ ამ სიტუაციას. იქ ოქრუაშვილს შეუფარდეს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. ხალხს არ აქვს საშუალება, რომ გამოვიდეს და გააპროტესტოს ეს ყველაფერი. აი, ასეთი საქმეებისთვის სჭირდებათ. მაქსიმალურად იწელება დრო და ასეთ დროს უფრო მეტი პიარი მოდის ხელისუფლების წევრებზე, ვიდრე ოპოზიციაზე.

ხელისუფლება ამ დროს სათავისოდ იყენებს.

გია ვოლსკი: „ოპოზიცია ცდილობს, რაღაც თემები ხელოვნურად წამოწიოს“

– ოპოზიციას პოლიტიკური საქმიანობის ასპარეზი ნაკლებად დარჩა და ცდილობს რაღაც თემები ხელოვნურად წამოწიოს.

ასე აფასებს პარლამენტის პირველი ვიცესპიკერი გია ვოლსკი საგანგებო მდგომარეობის გაგრძელების შესახებ ოპოზიციის განცხადებებს.

საგანგებო მდგომარეობის გაგრძელებასთან დაკავშირებით პარლამენტში სხდომა, სავარაუდოდ, 22-23 აპრილს გაიმართება.

– გაუგებარია ოპოზიციის მოთხოვნა იმასთან დაკავშირებით, რომ კონკრეტული გეგმა უნდა იყოს და არ უნდა იყოს უპირობო თანხმობა ამაზე. არც არავის უთქვამს, რომ უპირობო უნდა იყოს თანხმობა. არც ჩვენ გვქონია უპირობო გადაწყვეტილება მიღებული, საკმაოდ სერიოზული კონსულტაციების შემდეგ იქნა ეს გადაწყვეტილება მიღებული და საკმაოდ ვრცელი განცხადება გააკეთა პრემიერ-მინისტრმა ამასთან დაკავშირებით. რასაკვირველია, არავინ არის შეზღუდული, რომ თავისი აზრი გამოხატოს და ეს აბსოლუტურად ნორმალურიც იქნება.

მე მაინც ვფიქრობ, რომ ოპოზიციას პოლიტიკური საქმიანობის ასპარეზი ნაკლებად დარჩა და ცდილობს, რაღაც თემები ხელოვნურად წამოწიოს. თუმცა, არც მინდა, რომ ასეთი მწარე ბრალდებით შემოვიფარგლო, კითხვები რაც არის, მზად არის მთავრობაც და უმრავლესობაც, პასუხი გასცეს ყველა მათგანზე, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

მანამდე კი „ევროპული საქართველოს“ ლიდერმა დავით ბაქრაძემ განაცხადა, რომ თუ ხელისუფლება კონკრეტულ ეკონომიკურ გეგმას არ წარმოადგენს, საგანგებო მდგომარეობის გახანგრძლივებას პარლამენტში მხარს არ დაუჭერენ.

მისივე თქმით, უნდა გვესმოდეს, რომ საგანგებო მდგომარეობა გულისხმობს დამატებით და ძალიან მძიმე შეზღუდვებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის.

– რა თქმა უნდა, ჩვენ მხარს დავუჭერთ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისთვის აუცილებელ ყველა სამედიცინო ღონისძიებას, მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ საგანგებო მდგომარეობა გულისხმობს დამატებით და ძალიან მძიმე შეზღუდვებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის.

იმ პირობებში, როდესაც ათეულობით ათასი ადამიანი აპრილში რჩება უხელფასოდ, როდესაც ათეულობით ათასი თვითდასაქმებული აპრილში ვეღარ გამოიმუშავებს ოჯახის შესანახად თანხას, ადამიანების სახლში დატოვება 10 მაისამდე ისე, რომ არ უთხრა მათ, რას ჰპირდები კონკრეტულად, რით დაეხმარები აპრილში, გასცემ თუ არა სახელფასო კომპენსაციას, ეხმარები თუ არა თვითდასაქმებულებსა და სოციალურად დაუცველებს, ასეთი კონკრეტული დაპირებისა და კონკრეტული გაცემული დახმარების გარეშე, საგანგებო მდგომარეობით გამოწვეული შეზღუდვების გაგრძელება უბრალოდ დაანგრევს ეკონომიკას და უმძიმეს ვითარებაში ჩააყენებს ადამიანებს.

ამიტომ მხარს დავუჭერთ ყველა სამედიცინო ღონისძიებას, მაგრამ გადარჩენის კონკრეტული ეკონომიკური გეგმის გარეშე, საგანგებო მდგომარეობის გაგრძელებას მხარს ვერ დავუჭერთ, – განაცხადა დავით ბაქრაძემ.

დღეს ტაძრებში დიდი ხუთშაბათის მსახურება შესრულდება

დღეს დიდი ხუთშაბათია, რასთან დაკავშირებითაც ტაძრებში დიდი ხუთშაბათის მსახურება შესრულდება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს საპატრიარქოში განუცხადეს, ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში საღვთო ლიტურგია 10:00 საათზე დაიწყება, თუმცა მიბრძანდება თუ არა კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ტაძარში, ჯერჯერობით უცნობია.

წირვის დასრულების შემდეგ ფეხთბანვის წესი სრულდება, რომლის დროსაც, წესის მიხედვით, კათოლიკოს-პატრიარქი მსახურებაში მონაწილე 12 სასულიერო პირს ფეხს ბანს.

დიდ ხუთშაბათს ტაძრებში ასევე 12-გზის სახარება იკითხება, რომლის დროსაც წმინდა წერილიდან 12-ჯერ წაიკითხავენ მონაკვეთებს უფალი იესო ქრისტეს ცხოვრებისა და ჯვარცმის შესახებ.

ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში 12-გზის სახარების კითხვა 16:00 საათზე დაიწყება.

ვნების შვიდეულში დიდი ხუთშაბათი განსაკუთრებული დღეა. წმინდა სახარების მიხედვით, ამ დღეს მაცხოვარმა თავის მოწაფეებთან ერთად ბოლო პასექი და ფეხთბანვა აღასრულა.

უფალმა მოწაფეები პირველად აზიარა და ამით ევქარისტიის საიდუმლო დააწესა.

პასექის ჟამს მაცხოვარმა ასევე მიანიშნა, რომ მას ერთ-ერთი მოწაფე, იუდა ისკარიოტელი გასცემდა.

„ადამიანები არ უნდა დათრგუნო, რომ მათ შეიძლება გრიპის ტოლფასი დაავადება შეეყაროთ“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოში დაგეგმილია საგანგებო მდგომარეობის გაგრძელება 10 მაისამდე. რა ხდება ამ პირობებში? როგორ იქცევა ოპოზიცია? როგორი დამოკიდებულება ყალიბდება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიმართ? რომელი ზომა უქმნის საფრთხეს საქართველოს მოსახლეობის სიცოცხლეს? ვის აწყობს საქართველოს სუსტი ეკონომიკის მთლიანად დანგრევა? ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს, თამარ ჩხეიძეს.

„ეკლესიის წინააღმდეგ აღმაშფოთებელი კამპანია მიმდინარეობს“

– ყოფილ თავდაცვის მინისტრს, ირაკლი ოქრუაშვილს 5-წლიანი პატიმრობა მიესაჯა 2019 წლის ივნისის მოვლენებში მონაწილეობისათვის. არსებობს მოსაზრება, რომ ირაკლი ოქრუაშვილს პრეზიდენტი 26 მაისისთვის შეიწყალებს. ეს მოსალოდნელია?

– ამით დაირღვა შეთანხმება, რომელსაც ხელისუფლებამ და ოპოზიციამ მიაღწიეს. ეს იყო საერთაშორისო ორგანიზაციების ზედამხედველობით მიღწეული შეთანხმება. კარგი იყო, მაშინდელ ტექსტში ყოფილიყო უფრო მკაფიო ფრაზები პოლიტპატიმრებზე და არა ზოგადი განცხადებები. ასეა თუ ისე, შეთანხმება პოლიტპატიმრებზე დაირღვა. ხელისუფლებას მოუწევს გამოსავლის ძებნა. რა ფორმით გააკეთებს ამას, მნიშვნელობა არა აქვს. შესაძლოა, ეს იყოს შეწყალება.

– ხელისუფლება აპირებს ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გაგრძელებას 10 მაისამდე. საპარლამენტო ოპოზიციის თქმით, ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს მხოლოდ ანტიკრიზისული გეგმის დეტალურად წარმოდგენის შემთხვევაში.

– ინფექციის წინააღმდეგ ზომების მიღება აუცილებელია, მაგრამ ოპოზიციამ თავიდანვე შეცდომა დაუშვა, როცა უპირობოდ და უტყვად, ერთსულოვნად მხარი დაუჭირა საგანგებო მდგომარეობის შემოღებას 21 აპრილამდე. მეტაფორულად თუ ვიტყვით, ეს მოხდა ტაშის გრიალში. არ იგრძნობოდა, რომ ქვეყანაში ოპოზიცია საერთოდ არსებობს. თვითონ ოპოზიციას რაღაც წინადადებები ჰქონდა, მაგრამ მაშინ ხელისუფლებისაგან არანაირი გეგმა არ მოუთხოვია, შეკითხვები არ დაუსვამს.

არადა, ქვეყანაში ყველაფერი გაჩერდა, სამარშრუტო ტაქსებით დაწყებული, მაღაზიებითა და ავტოგასამართი სადგურებით დამთავრებული. ადამიანები დარჩნენ პურის ფულის გარეშე. ეს არის დიდი დარტყმა ქვეყნისთვის და საფრთხის შემცველი ამ ადამიანებისათვის. საშიშროება ექმნება მათ სიცოცხლეს. სანიტარული და ჰიგიენური ზომები, დიდი თავშეყრის აკრძალვა აუცილებელია, მაგრამ ყოველთვის მოსაძებნია ოქროს შუალედი. ზომა არ უნდა აღემატებოდეს იმ საფრთხეს, რომლის წინააღმდეგაც მას იღებენ. თვითონ ზომა საფრთხედ არ უნდა იქცეს. ყველაფერი მასობრივი ფსიქოზით არ უნდა მოიცვა, ადამიანები არ უნდა დათრგუნო იმის გამო, რომ მათ შეიძლება შეეყაროთ გრიპის ტოლფასი დაავადება. მით უმეტეს, როცა ცნობილია სტატისტიკა.

– რომელი სტატისტიკა?

– ყოველწლიურად სეზონური გრიპებისაგან დახლოებით 650.000 ადამიანი იღუპება. ეს მაჩვენებელი მასშტაბურია, მაგრამ ამ გრიპების სეზონის დროს ხალხს არ აშინებდნენ, არ უჩვენებდნენ კუბოებს, არ აჩერებდნენ ეკონომიკას. კაცი შვილი არ ამახვილებდა ამაზე ყურადღებას. ეს ჰგავს ერთ ანეკდოტს. კაცს ეკითხებიან, ცოლი რითი დაეღუპა. ის პასუხობს, გრიპისგანო. მაი არაფერიაო, ამშვიდებენ ჭირისუფალს. ჩვენც ასე ვართ – თუ სეზიონური გრიპისგან, ან სისხლძარღვათა დაავადებისაგან იხოცება ხალხი, ეს არაფერია. მთავარია, კორონაინფექცია არ შეხვდეს.

– გვიცხადებენ, რომ 14 აპრილიდან უკვე პიკია. დიდი ქალაქები დაიკეტა. ელით სხვა ზომების კიდევ უფრო გამკაცრებას?

– არ გამოვრიცხავ. კიდევ ვფიქრობ, რომ ყურადღების ცენტრში იქნება ეკლესია. ანტიეკლესიური ძალები ამ სიტუაციას ისევ გამოიყენებენ კამპანიისათვის ეკლესიისა და სარწმუნოების წინააღმდეგ.

ეკლესიის წინააღმდეგ აღვირახსნილი კამპანია მიმდინარეობს. სამწუხაროა, რომ ის წარმატებულია და მასში მონაწილეობენ ისინიც, ვინც ეროვნული იდეისა და დემოკრატიის ერთგულად თვლის თავს. ერთი მხრივ, სარწმუნოებას ეს ძალები უტევენ. მეორე მხრივ, სასურველია, რომ საპატრიარქოს მხრიდან იყოს უფრო მოქნილი გადაწყვეტილებები.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია იყო მეფის რუსეთისა და ბოლშევიკური რუსეთის პირველი მტერი და სამიზნე. მათ ჩვენს ეკლესიას ვერაფერი დააკლეს. ვერც ახლანდელი ანტიეკლესიური ძალები ვერაფერს დააკლებენ. საპატრიარქოს წარმომადგენლებმაც არ უნდა მისცენ საბაბი ამ ძალებს თავისი აღმაშფოთებელი ბრძოლის საწარმოებლად.

– აშშ-მ დაფინანსება შეუჩერა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას. აშშ-ის პრეზიდენტი აცხადებს, რომ ამ ორგანიზაციამ არ მიაწოდა მსოფლიოს საკმარისი ინფორმაცია კორონავირუსზე და დაეყრდნო მხოლოდ ჩინეთის მონაცემებს. თქვენც გაგიჩნდათ კითხვები?

– დიახ. უფრო სწორად, ასე ვიტყოდი – ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს. ამ ორგანიზაციის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, არანაირი აკვიატებები არ გამაჩნია. მინდა, მჯეროდეს, რასაც გვეუბნება, მაგრამ კითხვები თავისთავად ჩნდება. თუ ჩვეულებრივი სეზონური გრიპების დროს ამდენი ადამიანი იხოცება და არავინ ზომებს არ იღებს, ახლა რატომ ხდება შეტევა მსოფლიო ეკონომიკასა და ადამიანის უფლებებზე? ხომ არ არის ეს მიმართული დასავლური სამყაროს და მისი ფასეულობების წინააღმდეგ?

მანამდე დასავლეთი ჩვეულ კალაპოტში ვითარდებოდა თავისი დემოკრატიული ღირებულებებითა და თავისუფალი ეკონომიკით. საქართველოში ამ სიტუაციას პრობლემები ემატება.

– რა პრობლემები?

– საქართველოს ხელისუფლება იყენებს შექმნილ მდგომარეობას თავისი ანტიდემოკრატიული მისწრაფებებისთვის. ამ ხელისუფლებას რომ აქამდე ეკონომიკის გაძლიერებაზე ეზრუნა, ანაკლიის პროექტს არ ჩაშლიდა. საქართველოს ისედაც პატარა და სუსტი ეკონომიკა აქვს. რუსეთს მისი დანგრევა ყოველთვის უნდოდა. ახლა ამისათვის პირობები შეიქმნა. ამდენი ადამიანი დატოვეს უმუშევრად იმის გამო, რომ ამ ადამიანებს სიცხემ არ აუწიოს და ხველა არ დააწყებინოს. ყოველდღე რომ აშინებენ და კუბოებს აჩვენებენ, მათ ტვინებზე ზემოქმედებენ, ეს არ უნგრევთ მათ იმუნიტეტს? ფსიქოზი აქვეითებს იმუნიტეტს, ისევე, როგორც უმოძრაობა და შიმშილი.

– უმოძრაობაში რა იგულისხმება?

– 70 წელს ზემოთ მყოფ ადამიანებს გარეთ გასვლა აუკრძალეს. არადა, მოძრაობა აუცილებელია სისხლის მიმოქცევისათვის. უძრავად მყოფი ადამიანი შეიძლება გარდაიცვალოს.

„ყოველ წელს მსოფლიოში გრიპისგან 650.000 ადამიანი იღუპება, მაგრამ ეკონომიკას არავინ აჩერებს“

შემოსავლის გარეშე ხალხის დატოვება, ასევე 70 წელს ზევით ხალხის გარეთ გასვლის აკრძალვა მომაკვდინებელია. არის კიდევ არამომაკვდინებელი და ნახევრად კომიკური აკრძალვები.

მაგალითად, ცოლ-ქმარი მანქანაში ერთმანეთის გვერდით ვერ დაჯდება.

კახა კოჟორიძე: „შესაძლოა, ოქრუაშვილი პრეზიდენტმა შეიწყალოს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ლითი და ცხადია, რომ ასეთი მოქმედებები „ოცნებას“ შეთანხმების შესრულებად ჩაეთვლება.

– შეთანხმების დროს რა ვარიაციაზე საუბრობდით ამ საკითხების მოგვარების თვალსაზრისით, როცა ამბობთ, რომ პოლიტიკოსი ვერ დაურეკავს კონკრეტულ მოსამართლეს თუ რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მან?

– მე არ მითქვამს, რომ არ დაურეკავს. მე ვთქვი, რომ ამას არ იტყვიან, რომ დაურეკავს. ძალიან მნიშვნელოვანი განსხვავებაა. „ქართული ოცნებას“ პირდაპირი კავშირები აქვს სასამართლო ხელისუფლებასთან და ის კლანი, რასაც სასამართლო ხელისუფლებაში ვახსენებთ ხოლმე, ნამდვილად არის პირდაპირ მიბმული. „ქართული ოცნება“ და სასამართლო კლანი ერთად ჩამოყალიბდნენ, ერთნაირი ხედვები, ერთნაირი წარმოდგენები აქვთ სასამართლო სისტემაზე, რომ ის უნდა იყოს პოლიტიკური გავლენების გამტარი და არა – თავისუფალი, დამოუკიდებელი და ადამიანის უფლებების უზრუნველმყოფელი.

– ანუ შეთანხმება უნდა მოახერხოს სასამართლო და პოლიტიკურმა ხელისუფლებამ?

– არანაირი შეთანხება არ არის საჭირო. რასაც ეტყვის ხელისუფლება სასამართლოს ამ ტიპის საქმეებზე, იმას გააკეთებს. ამას უბრალოდ არ ეუბნებიან, პირიქით ეუბნებიან, რომ შენ ეს გადაწყვეტილება უნდა მიიღო. ჩვეულებრივი რიგითი მოსამართლე არ მიიღებს გამამტყუნებელ განაჩენს, როცა ხედავს, რომ საქმე პრობლემურია. ის არ იქნება დაინტერესებული, რომ მტკიცებულებების არარსებობის პირობებში ხელი მოაწეროს ადამიანის ციხეში წასვლას. რომ არა პოლიტიკური გავლენა, ის ამას არ გააკეთებს.

– როგორც მივხვდი, მოსამართლეს მხოლოდ მინიშნება უნდა პოლიტიკური ხელისუფლების მხრიდან?

– ერთადერთი რამეა საჭირო, რომ „ოცნებამ“ ამ ტიპის საქმეებზე მიიღოს სამართლიანი და სწორი გადაწყვეტილება. ასეთი და ისეთი კი არა, სამართლიანი, მაგრამ ამას არ ეუბნებიან. მოსამართლეებმა იციან, რომ ამ ტიპის საქმეებში ხელისუფლების ინტერესია და, შესაბამისად, იღებენ იმ ტიპის გადაწყვეტილებას, როგორსაც იღებენ.

მე არ მაქვს ინფორმაცია, რომ ოქრუაშვილის საქმეზე კონკრეტულმა დეპუტატმა მოსამართლეს პირადად დაურეკა, მაგრამ ჩემი დაკვირვებით ეს ასე ხდება. 15 წელია ჩემი პრაქტიკიდან ვუყურებ, როგორ მუშაობს სასამართლო სისტემა. ვმუშაობ როგორც სისტემურ კვლევებზე, ასევე, როგორც ადვოკატი, ვარ ჩართული და მაქვს ჩემი ნათელი წარმოდგენა და ეს ჩემთვის მარტივი დასანახია, ისევე, როგორც ნაციონალური მოძრაობის დროს იყო მარტივი დასანახი.

როგორც ნაციონალური მოძრაობის დროს იყო სასამართლო პოლიტიკური გავლენის ქვეშ, ასევეა ახლაც. როგორც ირაკლი კობახიძემ თქვა, მასობრივად ცუდები, მასობრივად

„ოცნება“ წინასაარჩევნოდ საპატრიარქოსთან დაპირისპირებას ერიდება და ისევ გაჭირვებულ ადამიანებს ჩაგრავს“

კარგები ვერ გახდებიან და რასაც ეტყვის ხელისუფლება, იმას გააკეთებენ. უბრალოდ, ადრე თუ მასობრივად ხდებოდა დაკვეთები, ახლა ეს დაკვეთები ცოტა შემცირებულია და ამიტომ არის ოდნავ განსხვავებული სიტუაცია. ხვალ რომ უთხრას მოსამართლეებს „ოცნებამ“, რომ ისევ ნულოვანი პროცენტით უნდა მიიღონ გამამართლებელი გადაწყვეტილებები, ისინი ამას გააკეთებენ.

– პრემიერმა პირდაპირ თქვა, რომ ეკლესია არ დაიხურება და კიდევ ვამკაცრებთ რაღაცებსო. ანუ რას გვეუბნება, ვინც კანონს იცავთ, თქვენთვის ვამკაცრებთ, მაგრამ დანარჩენებისთვის ღიად რჩება საკითხი? თუ როგორ უნდა გავიგოთ მისი განცხადება?

– მე ისე გავიგე, როგორც გონიერი ადამიანების უმრავლესობამ. ხელისუფლება კვლავ შერჩევითად მოქმედებს და ისევ პარტიული მიზნებიდან იყურება. მას მიაჩნია, რომ რადგან ეკლესია გავლენიანია, ამიტომ გავლენიან ინსტიტუტთან საარჩევნოდ დაპირისპირება შეიძლება წამგებიანი იყოს, ამიტომ ასეთ გადაწყვეტილებას ღებულობენ.

რიგითი ადამიანები, მათ შორის გაჭირვებული ადამიანები, რომლებიც ლუკმაპურისთვის გადაადგილდებოდნენ, ან ეკონომიკურ საქმიანობას ეწეოდნენ, ჯარიმდებიან 3.000 ლარით. დააჯარიმეს 3.000 ლარით ტიტების გამყიდველი, რომელიც ამბობდა, რომ 3 მცირეწლოვანი ბავშვისთვის უნდოდა წამლების ყიდვა.

სხვა ადამიანები კი არ ისჯებიან. მათ შორის გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჯანდაცვის მინისტრიც კი არღვევდა რეგულაციას და მძღოლის გვერდით ჯდებოდა, რაზეც სამართალდამცავებს ნულოვანი რეაგირება ჰქონდათ და გაჭირვებულ ადამიანებს ჩაგრავენ.

სწორედ ამიტომ დავწერე, რომ დაახლოებით 2000 წლის წინ, ძველ საბერძნეთში კანონმდებელმა სოლონმა თქვა, რომ კანონები ჰგავს ობობას ქსელებს, თუ მასში გაებმევა სუსტი მწერი, დაიღუპება, ხოლო ძლიერი მწერი გაგლეჯს ქსელს და დააღწევს თავს. ზუსტად ასეთი ვითარებაა. გავლენიანი ადამიანები თუ ინსტიტუტები არღვევენ კანონს და მასზე არანაირი რეაგირება არ ხდება, დაჩაგრული და სუსტი ადამიანი, როგორც ჩანს, დაბალი ღობეა ხელისუფლებისთვის და ეს არის ამაზრზენი საყურებელი.

ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები ამბობენ, რომ ახლა კრიტიკული მომენტია და ახლა ხელისუფლების მხრიდან არაადეკვატური მოქმედებები შესაძლოა ძალიან დამაზიანებელი იყოს და ყველას ძვირად დაგვიჯდეს. რეკომენდაციების თუ ვალდებულებების ნაწილობრივ შესრულება ეფექტის მომტანი არ იქნება. მას ეფექტი ექნება იმ შემთხვევაში, თუ მათ ყველა შეასრულებს.

– ხალხზე როდესაც ტეხს პრემიერი ჯოხს და ამბობს, რომ ისინი არიან პასუხისმგებელი, ეს რამდენად სწორია?

– მე იმ მიდგომას ვუჭერ მხარს, რომ ყველას გვაქვს ჩვენი წილი პასუხისმგებლობა. მოქალაქეს აქვს თავისი წილი მოქალაქეობრივი ვალდებულება და პასუხისმგებლობა. თავისუფალ საზოგადოებაში პასუხისმგებლობის და ვალდებულებების გარეშე სახელმწიფო წარმატებას ვერ მიაღწევს, მაგრამ ჩვენ ვსაუბრობთ სამართლებრივ და პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე და აქ უდავოა, რომ ხელისუფლებაა პასუხისმგებელი. თუ ჩვენ ვსაუბრობთ, რომ ხალხმა აღასრულოს, ეს შეუძლებელია, ჩვენ ვართ 21-ე საუკუნეში და ასე თემური წყობილების დროსაც არ ხდებოდა.

წესები უნდა აღასრულოს და დაადგინოს ხელისუფლებამ. როგორც ჩანს, მერვე წელსაც ვერ იაზრებენ ამას. როლში ვერ შევიდნენ და არ იციან, რას აკეთებენ და რას ემსახურებიან. მე მგონი, არც კი წაუკითხავთ შესაბამისი წიგნები.

„ლელო“ ასეთ საკითხებს სხვანაირად უყურებს. ჩვენც შევდივართ საარჩევნო პროცესში და „ქართული ოცნებაც“, მაგრამ ჩვენ ამას არ ვუყურებთ პარტიული გადმოსახედიდან, ჩვენ ვუყურებთ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი გადმოსახედიდან. „ოცნება“ კი ამ საკითხს მხოლოდ პარტიული გადმოსახედიდან უყურებს და თან, გარდა იმისა, რომ ადამიანების ჯანმრთელობას საფრთხის ქვეშ აყენებს, ეკლესიის ავტორიტეტსაც საფრთხეს უქმნის.

შემთხვევითი არა მგონია, რომ საპატრიარქოსთვის ტყეების გადაცემის საკითხი უნდა გადაწყდეს ამ დღეებში. ჩემი აზრით, შეიძლება მიზანმიმართულად ხდება. ასე წარმოჩინდა, რომ ნორმების უგულებელყოფა ერთობლივად ხდება და მეორე მხრივ, თითქოს ამისათვის გასამრჯელოს აძლევს საპატრიარქოს ამ მიწების სახით. ეს დააზარალებს ეკლესიას და ეს ადვილი დასანახია. მიკვირს კიდეც, საპატრიარქოს წარმომადგენლები რატომ არ ხედავენ ამას და რატომ არ უფრთხილდებიან ეკლესიის იმიჯს?! ეს ძალიან მძიმე სანახავია ჩვეულებრივი ადამიანების მხრიდან.

მოქალაქეებზე პასუხისმგებლობის გადატანა ახლა არასახელმწიფოებრივი და მავნებელი საქციელია ჩვენი სახელმწიფოს მხრიდან. მათგან ეს არ მიკვირს, მაგრამ პანდემიის დროს, როცა ყველანი რისკის ქვეშ ვიმყოფებით, ეს, შესაძლოა, თითოეულ ჩვენგანს ძალიან ძვირად დაგვიჯდეს.

ეს 2-3 კვირა როგორმე უნდა გადავაგოროთ და გამოვიდეთ ამ მდგომარეობიდან, რადგან ეკონომიკის გაჩერება ადამიანებს ძალიან ძვირი უჯდებათ. ნაწილს ექნება დანაზოგი, მაგრამ ბევრი ადამიანი ლუკმაპურის საშოვნელად იმოძრავებს და თუ ისინი არ დაიცავენ ამ წესებს, ვინც მაგალითი უნდა მოგვცენ – ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მაშინ ხალხს ამ წესების დაცვა გაუჭირდება.

მარნეულში მასობრივად დაიწყეს პროტესტის გამოხატვა, რაც დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევს და ეს ხელისუფლების მხრიდან ცეცხლთან თამაშია. იმედი არ მაქვს, მაგრამ მაინც ვიტოვებ იმედს, რომ ახლა იქნებ მაინც მოეგონ გონს და სახელმწიფოებრივად იაზროვნონ.

სასამართლო მედიაციის წარმართვა დისტანციურ რეჟიმში უკვე შესაძლებელია

იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თანამშრომლობით, სასამართლო მედიაციის სერვისის ონლაინ პლატფორმა შემუშავდა. მედიაციის მონაწილე მხარეებს შესაძლებლობა ექნებათ, კონფლიქტი დისტანციურ რეჟიმში გადაწყვიტონ.

– კოვიდ 19-ის გავრცელებისა და ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია, არ შეფერხდეს მართლმსაჯულება. ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნევთ, საზოგადოებას შევთავაზოთ დროული და ეფექტიანი სერვისები.

პირველი ნაბიჯი იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უკვე გადადგა და წარმატებით ტარდება სასამართლოს დისტანციური სხდომები. გარდა ამისა, „საქართველოს მედიატორთა ასოციაციასთან“ თანამშრომლობით მოქალაქეებს ვთავაზობთ მედიაციის წარმოების ელექტრონულ პლატფორმასაც, – განაცხადა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა, გიორგი მიქაუტაძემ.

– მედიაციის ონლაინ პლატფორმის დანერგვა ხელს შეუწყობს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმის პოპულარიზაციას და მის განვითარებას. ამ მიმართულებით სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“ საზოგადოების ინფორმირებასა და მედიაციის შეთავაზებას განაგრძობს, – განაცხადა „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარემ, ირაკლი ყანდაშვილმა.

საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“ 2020 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა.

თბილისის, რუსთავის, ქუთაისისა და ბათუმის მუნიციპალიტეტებში შესვლა-გამოსვლა აიკრძალა

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 2020 წლის 15 აპრილის 21:00 საათიდან აიკრძალა ქ. თბილისის, ქ. რუსთავის, ქ. ქუთაისისა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტებში შესვლა იმ პირებისთვის, ვინც რეგისტრირებული არ არიან ამ მუნიციპალიტეტებში (მიუხედავად ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილისა).

ამ მუნიციპალიტეტებიდან გასვლა შეზღუდვის ამოქმედების შემდგომ (კომენდანტის საათის გათვალისწინებით) შეუძლიათ მხოლოდ სხვა მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებულ პირებს რეგისტრაციის მისამართზე დაბრუნების მიზნით. ასეთი პირები ვეღარ შეძლებენ ფაქტობრივ საცხოვრებელ მისამართზე ზემოხსენებულ ქალაქებში დაბრუნებას.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, აღნიშნული შეზღუდვა ასევე არ შეეხება:

სამედიცინო დაწესებულების თანამშრომლების სამსახურებრივ გადაადგილებას;

საერთაშორისო და ადგილობრივ სატვირთო გადაზიდვებს;

საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთა სამსახურებრივ გადაადგილებას;

ბრალდებულების/მსჯავრდებულების გადაყვანას;

ფულადი სახსრების, ძვირფასი ლითონებისა და სხვა ფასეულობათა ინკასირებას;

ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზის, წყლის მიწოდების, ასევე სატელეკომუნიკაციო, საფოსტო და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ გადაადგილებას;

ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელების მიზნით გადაადგილებას;

სარიტუალო მომსახურების გაწევის მიზნით გადაადგილებას (მიცვალებულის გადასვენება/დაკრძალვა);

საერთაშორისო ორგანიზაციების ჰუმანიტარული მიზნებისთვის გადაადგილებას;

კერძო დაცვითი საქმიანობის განხორციელებას;

საჯარო დაწესებულებებისა და ამ დადგენილებით დაშვებული ეკონომიკური საქმიანობების განმახორციელებელი სუბიექტების მიერ ოპერაციულ შტაბთან შეთანხმებულ სიაში მყოფ პირებს/ავტოსატრანსპორტო საშუალებებს, რომელთა გადაადგილებაც კრიტიკულად აუცილებელია საგანგებო მდგომარეობის დროს სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კიდევ ერთხელ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაემორჩილონ დაწესებულ შეზღუდვებს და, აუცილებლობის გარდა, თავი შეიკავონ გადაადგილებისგან.

ზუგდიდში ტანსაცმლის მაღაზია გაქურდეს

ზუგდიდში ტანსაცმლის მაღაზია გაქურდეს.

მაღაზია დაკეტილი იყო.

საქმეზე გამოძიება 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევას გულისხმობს და შინაპატიმრობის ვადით ერთიდან ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთის ვადით სამიდან ხუთ წლამდე ისჯება.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის 198 ფაქტი გამოავლინა

პოლიცია, საქართველოს მთავრობის მიერ საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში ზომების მნიშვნელოვანი გამკაცრების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მოთხოვნების აღსრულების და ე.წ. კომენდანტის საათის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვების დამრღვევი პირების გამოვლენის მიზნით, 24-საათიან რეჟიმში მუშაობას განაგრძობს. შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

ბოლო 24 საათის განმავლობაში, სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის და ე.წ. კომენდანტის საათის შეზღუდვების დარღვევის 198 ახალი ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ, 14 აპრილის 21 საათიდან 15 აპრილის დილის 6 საათამდე, ე.წ. კომენდანტის საათის დარღვევის ფაქტზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით 90 მოქალაქე დააჯარიმა.

გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, საჯარო სივრცეში 3-ზე მეტი პირის შეკრების შეზღუდვის და 2-მეტრიანი სოციალური დისტანციის დაუცველობის გამო, სულ 91 მოქალაქე დააჯარიმა.

სამართალდამცველებმა მგზავრთა გადაყვანისა და ავტომობილით გადაადგილების წესის დარღვევის ფაქტზე კიდევ 17 პირი დააჯარიმეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში დანესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ზომები.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაიცვას საგანგებო რეჟიმი და დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას – ფიზიკური პირის დაჯარიმებას 3.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 15.000 ლარით.

„არ დამალო ძალადობა!“

შსს-მ საქართველოს მოსახლეობას ოჯახში ძალადობისას პოლიციისათვის შეტყობინების მექანიზმებსა და არსებულ სერვისებზე მესიჯები გაუგზავნა

შინაგან საქმეთა სამინისტრო აგრძელებს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლას და აღნიშნული დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ მკაცრი პოლიტიკის გატარებას.

შექმნილი რეალობის გათვალისწინებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საზოგადოების თითოეული წევრის აქტიური ჩართულობა დანაშაულის გამოვლენისა და პოლიციის დროული ინფორმირების პროცესში.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ქალთა საინფორმაციო ცენტრთან თანამშრომლობით, ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე ოჯახში ძალადობისას პოლიციისათვის შეტყობინების მექანიზმებსა და ფორმებზე საქართველოს მოსახლეობას მოკლე ტექსტური შეტყობინებები გაუგზავნა.

თუ ხართ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ან გაქვთ ინფორმაცია ძალადობის შესახებ, დარეკეთ 112-ზე ან გამოიყენეთ 112-ის მობილური აპლიკაცია.

მობილური აპლიკაციის ინსტრუქცია შეგიძლიათ იხ: http://112.gov.ge/index.php?m=147.

პოლიცია დროის ნებისმიერ მონაკვეთში მზად არის, რომ დაგეხმაროს.

არ დამალო ძალადობა!

აღნიშნულის მიზანია, საზოგადოების ინფორმირება ქვეყანაში არსებული შეტყობინების მექანიზმების შესახებ და პოლიციისათვის დროულად მიმართვის უზრუნველყოფა.

საზოგადოება

73 წლის მიშა ყარაულაშვილს, რომელიც ტიტების გაყიდვისთვის დააჯარიმეს, ხალხმა 10 ათასი ლარი შეუგროვა

73 წლის კაცს, რომელიც ბზობას ტიტების გაყიდვისთვის 3 ათასით დააჯარიმეს, 10 ათასი ლარი შეუგროვეს.

მიშა პაპას თანხას დღეს, 16 აპრილს გადასცემენ.

მიშა ყარაულაშვილი ბზობის დღესასწაულზე ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე ტიტების გაყიდვის გამო დააჯარიმეს.

შემთხვევა თელავში მოხდა. ყარაულაშვილს ერთ თვეში 3.000 ლარის გადახდა მოუწევდა, რომ არა საზოგადოების მხარდაჭერა:

ფეისბუქზე ამ ამბის გახმაურების შემდეგ ჯარიმის ფულის შეგროვება მოქალაქეებმა (ძირითადად, „თავისუფლების გამავრცელებელი საზოგადოების“ ჯგუფში, რომელიც მსგავსი საქველმოქმედო ნაბიჯებით გამორჩეულია ინტერნეტსივრცეში) დაიწყეს და საბოლოოდ 10.000 ლარი შეაგროვეს.

მიშა ყარაულაშვილი ობოლ შვილიშვილებს ზრდის. დაჯარიმების დღეს მან სულ 9 ტიტის გაყიდვა მოასწრო.

„პოლიციელებს ვეხვეწებოდი, არ დამაჯარიმოთ, ობოლ შვილიშვილებს ვზრდი-მეთქი, მაგრამ მაინც არ შემიბრალეს“ – ამბობს მეყვავილე.

შეგახსენებთ, 3.000-ლარიანი ჯარიმა საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში, სოციალური დისტანციის დაუცველობისთვისაა დაწესებული.

14 აპრილს ბრიფინგზე პრემიერ-მინისტრმა გახარიამ განაცხადა, რომ ჯარიმების გამკაცრება არა, მაგრამ აღსრულების გამკაცრება იგეგმება.

ზაზა ფირალიშვილი: „ვერავინ დაუშლის ქრისტიანს, ქრისტესთვის მოკვდეს“

აცხადებს ფილოსოფოსი ზაზა ფირალიშვილი და აღდგომის დღესასწაულის მოახლოებასთან ერთად მორწმუნეებს აფრთხილებს:

– გულწრფელად ვამბობ: ძალიან მიჭირს იმის თქმა, რასაც ახლა ვიტყვი: ვერავინ დაუშლის ქრისტიანს, ქრისტესთვის მოკვდეს. ქრისტიანობის ძალა იმთავითვე ეს იყო: ერთეულთა უნარი, სიხარულით შეხვედროდნენ სიკვდილს და თავის ღმერთს. ეკლესია იმთავითვე ამ ადამიანების ძალას ეყრდნობოდა.

ცხადია, არაქრისტიანებისათვის ეს გაუგებარი იყო. მათ არ ესმოდათ, რომ ქრისტიანებისათვის სიკვდილი არ იყო ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება დამართნოდათ, რადგან არ იცოდნენ სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველი ღმერთი. დღესაც ასეა.

მაგრამ, სულო ცოდვილო და, არ მახსენდება, ოდესმე სასიკვდილო საფრთხის წინაშე მყოფ წამებულს ერთმანეთისათვის უდიდესი რამის – ღვთის სასუფევლის გარდა, რაიმე სხვა იმედი მიეცათ, მით უმეტეს, სასწაულებრივ უსაფრთხოებას დაპირებოდნენ და რაიმე ისეთი გაეკეთებინათ, რაც სხვებს სასიკვდილო საფრთხის წინაშე დააყენებდა. მათ იცოდნენ, ვინ არის სიცრუის მამა და რომ ასეთი ტყუილი საფუძველშივე მოსპობდა ეკლესიის მიმართ ნდობას.

თუ ვინმე მზად არის ქრისტეს გზა გაიაროს და მისთვის მოკვდეს, მისი ნებაა. ქედს ვიხრი მის წინაშე. მაგრამ თუ ეს მავანი საკუთარ თავსაც და, მით უმეტეს, სხვებსაც უსაფრთხოებასა და სასწაულებრივად გადარჩენას ჰპირდება და მოუწოდებს, მომყევითო, ის მართალს არ ამბობს და საფრთხის წინაშე აყენებს ეკლესიას.

ეპიდემიას მრავალი ჭეშმარიტი ქრისტიანი შეუწირავს. სწორედ ახლა გავიგე, რომ მეოთხე საუკუნეში პახუმი დიდი შავი ჭირის ეპიდემიის გამო გარდაცვლილა 135 მონაზონთან ერთად. მათ არ ჰქონიათ სასწაულებრივი გადარჩენის იმედი და ცრუ დაპირებით არ წაუქეზებიათ ერთმანეთი. არც ის მოუვიდოდათ აზრად, სხვებისთვისაც მოეწოდებინათ, არ შეშინებოდნენ სენს. საიდუმლოთა აღსრულება არ არის მიწიერი წარმატების მომტანი მაგიური რიტუალი. ასეთი გულუბრყვილო ჯადოსნობა მათთვის, როგორც ქრისტიანებისათვის, უცხო იყო. მათ დაინახეს, რომ უფალთან შეყრის დრო მოვიდა და რწმენით შეხვდნენ მას.

ჩინეთში ეპიდემიების დროს დაავადებულთა მოვლისას ათასობით ქრისტიანი მისიონერი იღუპებოდა. მათ კარგად იცოდნენ თავისი ნაბიჯის ფასი.

მესმის, როგორი მიუღებელი იქნება ბევრისთვის ეს აზრი, მაგრამ მაინც მე, საერო პირი, ვბედავ და ვამბობ: ვფიქრობ, კარგად უნდა გვესმოდეს, რისთვის მივდივართ ზიარებაზე: სასწაულებრივი უსაფრთხოების იმედით, თუ კარგად გააზრებით იმისა, თუ რა შეიძლება ამას მოჰყვეს და მზად ვართ თუ არა. დარწმუნებული ვარ, არიან მცირედნიც, ვინც მზადაა. ისინი ამ ნაბიჯს დგამენ მიუხედავად მოსალოდნელი შედეგებისა და არა სასწაულებრივი უსაფრთხოების გარანტიით. ალბათ, სწორედ ესაა რწმენა. ასეთები თავს უფლებას არ მისცემენ, სხვებსაც იმავესკენ მოუწოდონ, მით უმეტეს, უსაფრთხოების გარანტია მისცენ და საჯაროდ იხმაურონ ამის შესახებ. ცალკეულმა შეიძლება ქრისტესთვის სიცოცხლე დათმოს, რადგან იცის, რომ უფრო დიდი სიცოცხლე ელის, მაგრამ უფლება არა აქვს, სხვების სიცოცხლე საფრთხის წინაშე დააყენოს, თანაც სასწაულს დაჰპირდეს ან დააშინოს, რომ თუ ახლა არ ეზიარება, სამარადისო ტანჯვა ელის.

უფლის წინაშე წარმდგარი ადამიანი მარტოა. საჯარო ჟრიამულსა და კოლექტიურ ვნებებში ეს ვერ მოხდება.

სასწაული შეიძლება მოხდეს, შეიძლება – არა. ეს ღვთის ნებაა და არაფრით არ არის დაკავშირებული ზიარების საიდუმლოს ჭეშმარიტებასთან.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ესპანეთში განკურნებულთა რაოდენობამ 39,8%-ს მიაღწია

ესპანეთში გასულ 24 საათში კოვიდ 19-ით ინფიცირებულთა რაოდენობა 5.092-ით გაიზარდა და 177.633 გახდა. განკურნებულთა რაოდენობა 3.349-ით გაიზარდა და 70.853 გახდა. ეს ინფიცირებულთა საერთო რაოდენობის 39,8%-ია. ეს მაჩვენებელი წინა დღე-ღამისას 0,8%-ით აღემატება.

გარდაცვლილთა რაოდენობამ 523-ით მოიმატა და 18.579 გახდა.

ობამამ ბაიდენს მხარი დაუჭირა

აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ ოფიციალურად განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მხარს უჭერს ბაიდენს.



– ბაიდენი საუკეთესო არჩევანია! – თქვა ობამამ.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ობამას მხარდაჭერა დიდ გავლენას იქონიებს.

აშშ-მ ჯანმოს დაფინანსება შეუწყვიტა

„ამდენი ხალხის სიკვდილი მისი ბრალია“

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის დაფინანსება შეაჩერა. ამის შესახებ პრეზიდენტმა ბრიფინგზე განაცხადა.

პრეზიდენტმა გასცა განკარგულება, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას შეუჩერონ დაფინანსება იქამდე, ვიდრე შეისწავლიან „ჯანმოს როლს პანდემიის არასწორად მართვასა და კორონავირუსის გავრცელების შესახებ ინფორმაციის დამალვაში“.

მან ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ ჯანმომ „პასუხი უნდა აგოს“.

ტრამპის თქმით, ბევრმა ქვეყანამ გაითვალისწინა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რჩევები და „მათ ახლა ისეთი პრობლემები აქვთ, რომლებიც დაუჯერებელია“.

ტრამპმა აღნიშნა, რომ ჯანმომ ვერ შეასრულა თავის მოვალეობა.

– ამდენი სიკვდილი გამოიწვია მათმა შეცდომებმა, – აღნიშნა ტრამპმა.

მისივე განცხადებით, ჯანმოს რომ სწორად ემოქმედა ჩინეთის შემთხვევაში და გაეკონტროლებინა დაავადება, უამრავი სიცოცხლე გადარჩებოდა.

ევროკავშირი დონალდ ტრამპის გადაწყვეტილებას გამოეხმაურა.

ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელის, ჯოზეფ ბორელის თქმით, მსგავსი გადაწყვეტილების მიღება პანდემიის დროს არ შეიძლება.

„ვწუხვართ აშშ-ის მიერ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისთვის დაფინანსების შეწყვეტის გამო. ეს ნაბიჯი გაუმართლებელია იმ მომენტში, როცა მისი ძალისხმევა ახლა ყველაზე მეტად არის საჭირო“, – დაწერა ბორელიმ ტვიტერის საკუთარ გვერდზე.

კომენტარი გააკეთა ჯანმოს ხელმძღვანელმაც.

„დასაკარგი დრო არ არის. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ფოკუსირებულია, ემსახუროს ხალხს, გადაარჩინოს სიცოცხლე და შეაჩეროს კოვიდ 19-ის პანდემია“ – დაწერა გებრეიესუსმა ტვიტერში.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ბეჰემოთი თავს დაესხა ნიანგს, რომელსაც ანტილოპა ჰყავდა მონადირებული

სამხრეთ აფრიკის კრიუგერის ეროვნულ პარკში ტურისტები ბეჰემოთისა და ნიანგის შეტაკების თვითმხილველები გახდნენ, რომელსაც თავის მხრივ ანტილოპა ჰყავდა მონადირებული. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო იუთუბში პარკის გვერდზე იქნა გამოქვეყნებული.

ვიდეოს დასაწყისში ანტილოპა წყალსატევში მომცრო კუნძულზე დგას. ის იქ მას შემდეგ აღმოჩნდა, როდესაც იძულებული გახდა, გიენისებური ძაღლების დევნისგან თავი სწორედ იქ შეეფარებინა. მართალია მტაცებლების თავდასხმიდან რამდენიმე საათი იყო გასული, მაგრამ ცხოველი კვლავ კოჭლობდა. მიუხედავად იმისა, რომ საფრთხე დიდი ხნის გადავლილი იყო, ანტილოპა ნიანგებისა და ბეჰემოთების გამო ნაპირზე გამოსვლას ვერ ბედავდა.

როდესაც ერთ-ერთმა რეპტილიამ კუნძულზე დაიწყო ასვლა, ანტილოპა იძულებული გახდა წყალში გადაშვებულიყო და ნაპირისკენ გაეცურა. მტაცებელი ცხოველს გაეკიდა და მალევე დაეწია. როდესაც ნიანგმა ანტილოპას პირი სტაცა, ამ დროს მოულოდნელად წყლიდან ბეჰემოთმა ამოყვინთა. მან ნიანგს პირი სტაცა და სამივე წყლის სიღრმეში გაუჩინარდა.

რამდენიმე წამის შემდეგ ბეჰემოთი კუნძულის მახლობლად გამოჩნდა, მხოლოდ ამჯერად ნიანგისა და ანტილოპას გარეშე. თუ რა დაემართათ მათ, უცნობი დარჩა.

ტაილანდის მეფე კარანტინმა დაღალა და საყვარლებთან ერთად ფესტივალზე გაემგზავრა

ტაილანდის მეფე მახა ვაჩირალონგკორნ რამა X-ე საკუთარი ნებით უცხო ქვეყანაში კარანტინში ყოფნამ დაღალა და სამშობლოში გაფრინდა.

მახა გერმანიაში მარტის ბოლოს ჩავიდა, ბავარიის ოთხვარსკვლავიან სასტუმროში ყველა ნომერი დაიკავა და იქ თავის 20 საყვარელთან ერთად განმარტოვდა. თავდაპირველად მას სურდა ეპიდემია იქ გადაეტანა, მაგრამ სულ რამდენიმე დღეში მისი გეგმები შეიცვალა. მეფემ ბანგკოკში დაბრუნება და ფესტივალ „ჩაკრიში“ მონაწილეობის მიღება გადაწყვიტა.

მახამ სასტუმრო გვიან ღამით დატოვა, მივიდა მიუნხენის საერთაშორისო აეროპორტში ჩაჯდა თვითმფრინავში და ციურიხში ჩაფრინდა. იქ თავის მეოთხე ცოლს 41 წლის სუტხიდს შეხვდა, რომელიც მას ბავარიის სასტუმროში არ გაჰყვა ქმარს შვეიცარიაში დაელოდა. ისინი ერთად ტაილანდის ავიახაზების თვითმფრინავში გადასხდნენ და ბანგკოკში გაფრინდნენ. მეფის თანმხლები 119 მოსამსახურე ასევე გაამგზავრეს ტაილანდში. ეჭვია, რომ ისინი კორონავირუსით არიან დაინფიცირებულები.

ეპიდემიის გამო სამსახურდაკარგულმა გოგონამ ჯეკპოტი მოხსნა

დიდი ბრიტანეთის მკვიდრმა გოგონამ, რომელმაც კორონავირუსის ეპიდემიის გამო სამსახური დაკარგა ლატარიაში ჯეკპოტი მოხსნა და მულტიმილიონერი გახდა.

17 წლის ჰერმონი დოსი ინგლისის ქალაქ ბრაიტონიდან პლიაჟზე მაშველის დამხმარედ მუშაობდა, მაგრამ კორონავირუსის ეპიდემიის გამო სამსახური დაკარგა.

26 მარტს შუა ღამისას მასთან ოთახში მამამისი შეიჭრა და გახარებულმა აცნობა, რომ მან ლატარიაში ჯეკპოტი მოხსნა.

მეორე დილით დოსი დარწმუნებული იყო, რომ მას ეს ყველაფერი დაესიზმრა. თუმცა საუზმეზე მამამ დაუდასტურა, რომ ის მართლაც მთავარი პრიზის მფლობელი გახდა. მან ქალიშვილს აცნობა, რომ ამიერიდან ის ყოველ თვე ათი ათას ფუნტ სტერლინგს მიიღებდა მთელი წლის მანძილზე.

– დღემდე მეჩვენება, რომ ეს ყველაფერი მე არ მეხება, – აღიარა გოგონამ.

დოსმა განაცხადა, რომ ბილეთში ჩაწერა ის რიცხვები, რომლებმაც ოდესღაც მის აწ გარდაცვლილ ბიძას მოგება მოუტანა. მისივე აღიარებით კორონავირუსის ეპიდემიის პირობებში თვითიზოლაციაში ყოფნის გამო ის მოგებულ თანხას ვერაფერში დახარჯავს, თუმცა სამომავლოდ მთელი ოჯახის დასასბენებლად წაყვანას და ცხენის ყიდვას აპირებს.

მამაკაცი 20 წელი პენსიას არ იღებდა და ახლა სოლიდური თანხის მფლობელი გახდა

ინგლისის იორკშირის საგრაფოს მკვიდრი 140 ათასი ფუნტ სტერლინგის მფლობელი გახდება, ვინაიდან საპენსიო ასაკის მიღწევიდან 20 წლის განმავლობაში მის კუთვნილ პენსიას არ იღებდა.

დაახლოებით 80 წლის მამაკაცს, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, მიაჩნდა, რომ პენსიის მიღების უფლება არ ჰქონდა, ვინაიდან საპენსიო ასაკის მიღწევიდან 20 წლის განმავლობაში მუშაობას აგრძელებდა.

ადგილობრივმა საბჭომ მისი სახელით ინფორმაცია გამოითხოვა საპენსიო ფონდიდან. აღმოჩნდა, რომ ბრიტანელს ერთჯერადად ასაღებად 140 ათასი ფუნტ სტერლინგი დაუგროვდა, შემდეგ კი ის ყოველ კვირას 185 ფუნტს მიიღებს.

– მოქალაქე ჯერ ისევ მუშაობს და პენსიაზე გასვლას არ აპირებს, მაგრამ არ იცოდა, რომ შეეძლო ემუშავა და ამავდროულად პენსიაც აეღო, – განაცხადა ადგილობრივი საბჭოს წევრმა მაიკლ გრეჰემმა.

ორცოლიანმა თვითიზოლაციის პირობებში მეორე ცოლის მონახულების ნებართვა მოითხოვა

დუბაის მკვიდრმა რადიოს პირდაპირ ეთერში პოლიციის თანამშრომლებს თხოვნით მიმართა, რომ მას სახლიდან გასვლის უფლება მისცენ რათა თვითიზოლაციის რეჟიმში ყოფნის დროს ორივე მეუღლესთან შეხვედრა შეძლოს.

დუბაის პოლიციის თანამშრომლებმა ადგილობრივ რადიოში პირდაპირ ეთერში მიიღეს მონაწილეობა, რომლის დროსაც თვითიზოლაციაში მყოფ მოსახლეობას კითხვებზე უპასუხეს. ერთ-ერთმა მსმენელმა მათ აცნობა, რომ ორ ქალზეა დაქორწინებული, მაგრამ ამჟამად მხოლოდ ერთ-ერთ მათგანთან ცხოვრობს და სურს. რომ მეორეს მონახულების უფლება მიიღოს, რათა მასთანაც გაატაროს დრო.

ორცოლიანი მამაკაცის თხოვნამ პოლიციის თანამშრომლები მეტად გაამხიარულა. მათ უპასუხეს, რომ სახლიდან გამოსვლის უფლება მოქალაქეებს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში ეძლევათ, როდესაც ამისთვის მნიშვნელოვანი მიზეზი არსებობს. მათ მამაკაცს მოუწოდეს, რომ მომხდარს გაგებით მოეკიდოს და შექმნილ ვითარებას ისე შეხედოს, თითქოს ცოლთან მიუსვლელობის მორიგი მიზეზი გაუჩნდა.

ნიუ-იორკელი პოლიტიკოსი კორონავირუსთან საბრძოლველად მედდა გახდა



აშშ-ის ქალაქ ნიუ-იორკში პარლამენტის წევრი ქალბატონი კორონავირუსთან ბრძოლაში მონაწილეობისთვს მედდის პროფესიას დაუბრუნდა.

კარინ რეიესი 2014 წლიდან ბრონკსში მონტეფიორეს სამედიცინო ცენტრში მუშაობდა. 2018 წელს დემოკრატიული პარტიიდან ნიუ-იორკის შტატის ასამბლეის არჩევნებში მიიღო მონაწილეობა და გაიმარჯვა, რის შემდეგაც მთლიანად პოლიტიკურ მოღვაწეობაზე გადაერთო. ქალმა თავის საავადმყოფოში დაბრუნება ყოფილ კოლეგებთან საუბრის შემდეგ გადაწყვიტა.

– მედდები დებენ ფიცს, რომ ადამიანებს დაეხმარებიან და ასეთ დროს როგორ შემეძლო მათ დახმარებაზე უარი მეთქვა, – განმარტა ქალმა.

ასე ახლა დასვენების დღეებში რეიესი მედდად მუშაობს, ხოლო სამუშაო დროის დასრულების შემდეგ ასამბლეაში მიდის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის მისაღებად.

ბრიტანეთში უზარმაზარი კრაზანების შემოსევისთვის ემზადებიან

დიდ ბრიტანეთში უზარმაზარი აზიური კრაზანების შემოსევისთვის ემზადებიან, რომლის შხამი ადამიანისთვის მეტად სახიფათოა. მისი ერთი კბენა საკმარისია იმისთვის, რომ ალერგიული ადამიანის სიკვდილი გამოიწვიოს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, იმისთვის, რომ მწერების შემოსევის სავალალო შედეგების თავიდან აცილება მოხერხდეს, ხელისუფლებამ 7,6 მილიონი ფუნტ სტერლინგი გამოყო.

აზიური კრაზანები სხვა პატარა მწერებით იკვებებიან, მათ შორის ფუტკრებით, რომლის პოპულაცია მთელ დიდ ბრიტანეთში დიდი სისწრაფით მცირდება.

ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემის ინფორმაციით, აღნიშნული მწერი ჩინეთიდან საფრანგეთში 2004 წელს შეიყვანეს, საიდანაც შემდეგ ის თითქმის მთელ ევროპას, კერძოდ ესპანეთს, პორტუგალიას, გერმანიას, იტალიას და ბელგიას მოედო. დიდ ბრიტანეთში ის პირველად 2016 წელს შენიშნეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

შეყვარებულები ერთმანეთს პირველად ქორწილამდე ოთხი დღით ადრე შეხვდნენ

ინგლისის ნოტინჰემშირის საგრაფოს ქალაქ ნოტინჰემის მცხოვრები ქალბატონი თავის ტუნისელ საქმროს პირველად მათ ქორწილამდე რამდენიმე დღით ადრე შეხვდა.

2019 წლის აგვისტოში ტუნისელმა იუზეფ მრადმა 36 წლის ლიზას გაცნობის გვერდზე მისწერა. რამდენიმე თვის განმავლობაში წყვილი ერთმანეთს წერდა და საათობით ტელეფონზე საუბრობდნენ.

მათ ერთმანეთი პირადად არასოდეს ჰყავდათ ნანახი, მაგრამ ლიზამ იუზეფს შესთავაზა ის ცოლად მოეყვანა და ტუნისელი დათანხმდა. ქალი თებერვალში ტუნისში ჩაფრინდა და ოთხი დღის შემდეგ 25 თებერვალს მათ იუზეფის ოჯახის გარემოცვაში იქორწინეს. ამის შემდეგ ლიზა სამშობლოში დაბრუნდა, რათა ნათესავები საკუთარი გათხოვებით გაეკვირვებინა.

– თვითმფრინავში ვფიქრობდი: „ღმერთო ჩემო, აქ რას ვაკეთებ?“ მაგრამ როგორც კი იუზეფი დავინახე, ყველა ჩემი ეჭვი გაიფანტა. მე ის ძალიან მიყვარს, – განაცხადა ლიზამ. მას წინა ქორწინებიდან 12 წლის შვილი ჯასტინი ჰყავს.

ამ დროისთვის იუზეფი ტუნისში იმყოფება და იქ მანამდე მოუწევს დარჩენა, სანამ ბრიტანეთში საცხოვრებლად გადასვლას მოახერხებს.

ობობას კბენამ მამაკაცი გააკოტრა

შხამიანი ობობას კბენამ ამერიკის კოლორადოს შტატის ქალაქ დენვერის მცხოვრები მამაკაცი გააკოტრა.

ობობამ 30 წლის ნიკოლას კუკს თავზე იმ დროს უკბინა, როდესაც მას ეძინა. გამოღვიძების შემდეგ მან ლოყაზე ნაკბენი შენიშნა და უსიამოვნო შეგრძნებებმა შეიპყრო. მის თქმით მსგავსი შეგრძნებები მაშინ გამოსცადა, როდესაც რამდენიმე წლის წინ კრაზანამ დანესტრა. ორი დღის შემდეგ მძინარე მამაკაცი ობობამ ისევ დაკბინა, თუმცა ამჯერად იარები მუცელზე გაუჩნდა.

თავდაპირველად კუკს იმედი ჰქონდა, რომ ტკივილი თავისთავად გაუვლიდა და ექიმთან არ მისულა. 48 საათში კი იარები შესამცნევლად გაუსივდა, ხოლო მუცელზე ნაიარევიდან ჩირქმა დაიწყო დენა. იმ დროისთვის მამაკაცი უკვე დარწმუნებული იყო, რომ ის ობობა შავმა ქვრივმა დაკბინა. საავადმყოფოში მას ეს დაუდასტურეს, მაგრამ შხამის საწინააღმდეგო წამალი ვერ მისცეს. ამის ნაცვლად მას ტკივილგამაყუჩებელი და კიდევ რამდენიმე სხვა წამალი გამოუწერეს.

მკურნალობა მამაკაცს ძვირი დაუჯდა. არც მას, არც ახლობლებს გაუთვალისწინებელი ხარჯების დასაფარი თანხა არ აღმოაჩნდათ. ამიტომ ის იძულებული გახდა მაღალპროცენტიანი ექსპრეს-კრედიტი აერო. მის გასტუმრებაზე მიდის მთელი ის შემოსავალი, რომელიც ანაზღაურების მიღების შემდეგ გადასახადების დაფარვის შემდეგ რჩება, თუმცა ეს საკმარისი მაინც არ არის. კუკს იმედი აქვს, რომ საჭირო თანხის შეგროვებას კრაუდფანდინგური სერვისის წყალობით შეძლებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ.: 599-294-293.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სექსუალური აშლილობებით დაავადებულთა მკურნალებს: შევწყვიტე რა პაციენტების მიღება, შემომრჩა „ერექტორები“, რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს წყვილთა შორის და თვით სქესობრივად უძლურ მამაკაცებშიც. „ერექტორის“ შესახებ ცნობები შეტანილია უროლოგიისა და სექსოლოგიის სახელმძღვანელოებში. იყიდება სიმბოლურ ფასად. ტელ.: 593-60-60-44; 299-95-33. იკითხეთ ექიმი მერაბი.

რომას ჩაკვეტაძე სურს, გენტი უარზეა

სანამ ფეხბურთი ისვენებს, კლუბების ხელმძღვანელები ისეთი მოთამაშეების ძიებაში არიან, რომლებიც სამომავლოდაც გამოადგებათ და მინიმალური დანახარჯებით შეიძენენ. საფეხბურთო სამყაროში კი მინიმალური დანახარჯი 20 მილიონს აღემატება.

ეს მცირე შესავალი იმიტომ გავაკეთეთ, რომ რამდენიმე იტალიური ვებგვერდი ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციას ავრცელებს – რომა შემადგენლობის გადახალისებისთვის ემზადება და მისი ერთ-ერთი უმთავრესი სამიზნე ბელგიური გენტის 20 წლის ქართველი ნახევარმცველი გიორგი ჩაკვეტაძე იქნება.

რომაელთა ჩაკვეტაძით დაინტერესების შესახებ ადრეც იწერებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ტრანსფერი უფრო აქტიურ ფაზაში შევიდა.

ალბათ, უფრო იმიტომ, რომ რომაული გუნდის დატოვებას აპირებენ თურქი ჩინგიზ უნდერი, არგენტინელი დიეგო პეროტი და სომეხი ჰენრიხ მხითარიანი.

ერთ-ერთი ვებგვერდი წერს:

– რომას რამდენიმე შემტევი დატოვებს. შედეგად, შემტევი ხაზის უკან, გუნდში სრულ სიცარიელეს ვიღებთ, რაც სასწრაფოდ გამოსასწორებელია. თუკი რომა 4-2-3-1 სისტემით ითამაშებს, ჩაკვეტაძე სწორედ რომ საუკეთესო ვარიანტია, რადგანაც მას ფაქტობრივად სამივე პოზიციაზე შეუძლია თამაში. თუკი გუნდი შემტევ სქემას აირჩევს (3-4-3 ან 4-3-3), მაშინ ქართველი ფეხბურთელისთვის იდეალური მარცხენაფლანგელის პოზიცია იქნება.

ვნახოთ, რას წერს სხვა ვებგვერდი:

– რომას სპორტული დირექტორი ჯანლუკა პეტრაჩი მომავლის გუნდში ერთ-ერთ მთავარ როლზე გენტის ფეხბურთელს ხედავს. „ჯალოროსი“ ბელგიურ გუნდს უეფას ევროპის ლიგის ფლეი ოფში შეხვდა და მაშინ კიდევ ერთხელ დააკვირდა 20 წლის ტექნიკურ გარემარბს. გიორგი ჩაკვეტაძემ მიმდინარე სეზონში 12 მატჩში 2 პასი გააკეთა, მისი სატრანსფერო ფასი კი 10-15 მილიონი ევროა. როგორც ირკვევა, ქართველი ფეხბურთელი პეტრაჩის სიაში პირველ ადგილზე იმყოფება. მის ტრანსფერზე გუნდის მთავარი მწვრთნელის პაულო ფონსეკას თანხმობაც არსებობს.

მიუხედავად რომასა და იტალიური ვებგვერდების აქტიურობისა, ჩაკვეტაძის გაყიდვის წინააღმდეგია გენტის სპორტული დირექტორი მიშელ ლუგავი, რომელიც აცხადებს, რომ გამორიცხულია, რომ მომდევნო სეზონში ჩაკვეტაძემ იტალიაში ითამაშოს.

ეს შესაძლოა, ფასის გასაზრდელი ფანდი იყოს, მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ გენტი სიმართლეს ამბობდეს და ფეხბურთელის გაყიდვა ჯერ არ სურდეს.

მანჩესტერი დიდი ტრანსფერების მოლოდინშია

ბრიტანული მედიის ცნობით, მანჩესტერ იუნაიტედმა ზაფხულის ტრანსფერების გეგმის შედგენა დაასრულა. სიაში 14 ფეხბურთელი მოხვდა.

იუნაიტედის თავკაცი, ოლე გუნარ სოლსკიაერი აგრძელებს კლუბის განახლებას და პირველ რიგში ყურადღებას ახალგაზრდა, ნიჭიერ მოთამაშეებზე ამახვილებს.

იანვარში მანჩესტერში პორტუგალიელი ბრუნო ფერნენდეში მიიყვანეს, რამაც იუნაიტედის გულშემატკივრებს იმედი ჩაუსახა, რომ სოლსკიაერს შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ გააგრძელოს ფეხბურთელების ყიდვა.

ჰოდა, სოლსკაიერმა შეადგინა 14-კაციანი სია და ხელმძღვანელობას გადასცა.

გასაკვირი არ არის, რომ სიაში სანჩო, ჯეკ გრილიში და ჯეიმს მადისონი მოწინავე პოზიციებზე მოხვდნენ. იუნაიტედი სერიოზულად არის დაინტერესებული დორტმუნდის ვარსკვლავით, ხოლო ახალი სეზონის დაწყებამდე ჯეკ გრილიშის ტრანსფერის დასრულებაზეც იმუშავებს.

უფრო მეტიც, მოხსენებაში ნათქვამია, რომ „წითლები“ მზად არიან, განაახლონ ინტერესი ერლინგ ჰაალანდის მიმართ, ხოლო მუსა დემბელე, ტიმო ვერნერი და დონი ვან დე ბეკი სათადარიგო ვარიანტებად განიხილებიან.

სოლსკიაერის ჩამონათვალში ასევე მოხვდნენ მატეას დე ლიხტი და კულიბალი.

იუნაიტედს ასევე შესთავაზეს ხელი მოაწერონ ტორინოს თავდამსხმელ ანდრეა ბელოტისთან. როგორც ირკვევა, ბელოტის საკითხთან დაკავშირებით შეხვედრა შედგა და გაირკვა, რომ ფეხბურთელი ხელმისაწვდომია.

ასევე ბრიტანული გამოცემების ინფორმაციით, იუნაიტედმა მადრიდის რეალის 2 ფეხბურთელი ამოიღო მიზანში.

მანჩესტერი მზად არის რაფაელ ვარანის სანაცვლოდ 100 მილიონი ევრო გამოყოს, ხოლო ფედერიკო ვალვერდეში 80 მილიონი ევრო გადაიხადოს.

„წითლებში“ თვლიან, რომ ეს 2 ტრანსფერი გუნდს ძალიან გააძლიერებს.

მანჩესტერი ნახევარდაცვის გაძლიერებას აპირებს. კიდევ ერთი მადრიდული გუნდიდან შეეცდებიან და ატლეტიკოდან საულ ნიგესის გადაბირება სურთ. ისიც ითქვა, რომ როხიბლანკოს ფეხბურთელის სანაცვლოდ 70 მილიონ ევროს შესთავაზებენ.

აღსანიშნავია, რომ მანჩესტერმა საულის შეძენა შარშან ზაფხულშიც სცადა, მაგრამ უშედეგოდ. იუნაიტედი ესპანელისთვის ხელფასის სახით კვირაში 200.000 გირვანქა სტერლინგის გადახდას აპირებს, რაც მის ამჟამინდელ ანაზღაურებაზე თითქმის ორჯერ მეტია.

გერმანიას ქართულ ფორმატზე გადმოსვლა სურს

ევროპაში შეჩერებული ჩემპიონატებიდან პირველი განახლებას ბუნდესლიგა აპირებს. გერმანული გუნდების დიდი ნაწილი ვარჯიშს უკვე შეუდგა და მათი ვარაუდით, იქაური ჩემპიონატი მაისში უნდა განახლდეს. თუმცა, არავინ უწყის, იმ დროისთვის გამოსწორდება თუ არა მდგომარეობა და შესაძლებელი იქნება თუ არა მატჩების ჩატარება.

უკეთეს შემთხვევაში, ბუნდესლიგა მაისში რომც განახლდეს, წელიწადნახევრის განმავლობაში მატჩების მაყურებლების გარეშე გამართვას გეგმავენ. აღნიშნული საკითხი მთავრობის დონეზე განიხილება.

კორონავირუსი ფეხბურთში სერიოზულ ცვლილებებს შეიტანს და ძველებური სახით ვეღარ დაგვიბრუნდება.

ამის დასტურია ლევერკუზენის ბაიერის გენერალური დირექტორის ფერნანდო კაროს აქტივობა, რომელიც პანდემიით გამოწვეული ვითარების გამო ჩემპიონატის გაზაფხული-შემოდგომის სისტემაზე გადასვლის წინადადებით გამოვიდა. მით უმეტეს, მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატი ზამთარში გაიმართება.

კაროს აზრით, ეს ფეხბურთელებს უმნიშვნელოვანესი ტურნირისთვის უკეთესად მომზადებაში შეუწყობს ხელს. როგორც იცით, მსგავსი ფორმატით იმართება ეროვნული ჩემპიონატი საქართველოში.

ლელობურთმა შუხუთიდან ბელოვეჟის ტევრში გადაინაცვლა



აღდგომას შუხუთში ტრადიციული ლელობურთი არ გაიმართება. გურიის ამ სოფელში ლელოს თამაში უკვე წლებია აღდგომის დღესასწაულზე ეწყობა. წელს მსოფლიო პანდემიის გამო, ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობაა, ამიტომაც აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული ლელობურთის გარეშე ჩაივლის.

აქამდე ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა ლელობურთი არ გაიმართა – 1989 წელს, 9 აპრილის ცნობილი მოვლენების გამო, როცა შუხუთში მხოლოდ სიმბოლურად ააგდეს ბურთი...

სამაგიეროდ, შუხუთელების საქმე ბრესტელმა მორაგბეებმა გადაიბარეს და 19 აპრილს ლელობურთს ბელოვეჟის ტევრში გამართავენ.

როგორც იცით, ბელარუსში პანდემიას საერთოდ არ უფრთხიან და სპორტული ღონისძიებები ყველა სახეობაში იმართება. როგორც ჩანს, მეტიც მოინდომეს და ახლა სხვა ქვეყნების სპორტულ „ფოლკლორსაც“ გადაწვდნენ. თანაც, ბელოვეჟის ტევრში 19 აპრილს „კავკასიური უქმეები“ გაიმართება.

კირილ მასლაკოვი, ღონისძიების ორგანიზატორი:

– დიდი ხანია გვინდოდა, ამ იდეისთვის ხორცი შეგვესხა. ლელობურთზე ბევრი წამიკითხავს და დამიწერია. ობიექტურ გარემოებათა გათვალისწინებით, ვერ გეტყვით, რამდენი მონაწილე შევიკრიბებით, მაგრამ პირველ ჯერზე რაგბის მატჩის მონაწილეებზე მეტი არ ვიქნებით. იდეა არა მარტო მე, არამედ იმათ მოსწონთ, ვინც პირველად მიიღებს მსგავს მონაწილეობას. ასე რომ, ვიდრე სეზონი არ დაწყებულა, ბელოვეჟის ტევრში „კავკასიური უქმეების“ გამართვა გადავწყვიტეთ – ქართული სუფრით, თამაშებით, ტრადიციებით.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო განცხადებები

ქართველ ავიატორთა კოჰორტას კიდევ ერთი ღირსეული პიროვნება გამოაკლდა. პირველი კლასის პილოტი, ტუ-154 ტიპის საჰაერო ხომალდის მეთაური, ბატონი

თენგიზ ილიას-ძე გვარაძე

იგი გახლდათ ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო მოქალაქე, ძალზე გულისხმიერი და ყველასათვის დიდი მეგობარი. მაღალი დონის პროფესიონალი, რომელიც ყველა ავიატორის წარმატებას თავისად აღიქვამდა.

მოგეხსენებათ, რომ მფრინავთა ხვედრი ძალზე განსაკუთრებულია – პიროვნული პასუხისმგებლობა და ფრენების უსაფრთხოების უზრუნველყოფა მათი ყოველდღიური ზრუნვის საგანია.

გმირობის ტოლფასია შენს თავზე აიღო ფრენების უსაფრთხო შესრულებაზე პასუხისმგებლობა, როდესაც საჰაერო ხომალდში შენს იმედად რამდენიმე ასეული მგზავრი გიზის. სწორედ ასეთი პიროვნება გახლდათ ბატონი თენგიზი, რომელიც თავისი პროფესიული მოღვაწეობის პერიოდში არაერთხელ აღმოჩენილა ავარიული თუ კატასტროფული სიტუაციების პირისპირ.

ძალზე მნიშვნელოვანია გავიხსენოთ შემთხვევა, როდესაც ეკიპაჟი ბატონ თენგიზ გვარაძის მეთაურობით, ღამის რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში ასრულებდა რეისს თბილისი-სვერდლოვსკი-თბილისის მიმართულებით. ბორტზე 180 მგზავრის იჯდა, თბილისის აეროპორტში დაფრენის დროს არ გამოიშვა თვითმფრინავის წინა საყრდენი დგარი, ასეთ რთულ და ექსტრემალურ სიტუაციაში ხომალდის მეთაურის, თენგიზ გვარაძის ერთადერთი, დროული და სწორი გადაწყვეტილების მიღების შედეგად ეკიპაჟმა განახორციელა მშვიდობიანი დაფრენა ქ. თბილისის აეროპორტში, რითაც კატასტროფისგან იხსნა 180 მგზავრის სიცოცხლე. ფრენის ავარიულ სიტუაციაში გამოჩენილი მამაცობისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის საბჭოთა კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს მიერ ბატონი თენგიზი დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით, ხოლო საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, საჩუქრად გადაეცა „გაზ-24“ ტიპის მსუბუქი ავტომობილი და 4(ოთხი) ოთახიანი ბინა ქ. თბილისში.

ერისა და ქვეყნის წინაშე ვალმოხდილმა „კაცმა“ თავის საყვარელ სოფელ ნიქოზს მიაშურა და სიცოცხლის ბოლო დღემდე თავდაუზოგავად შრომობდა წინაპრების მიერ დატოვებულ კარმიდამოში, რითაც ხშირად ამაყობდა მეგობრებისა და ახლობლების წრეში, მის მიერ ჩადენილ საფრენოსნო-საგმირო საქმეებზე კი სიტყვა არასდროს წამოსცდენია. პასუხს ყოველთვის ძალზე მარტივად იძლეოდა „ის ხომ ჩემი პროფესიული მოვალეობა იყო“.

ჩვენო ძვირფასო კოლეგებო, საქართველოს სამოქალაქო ავიაციას კიდევ ერთი ღირსეული პიროვნება გამოაკლდა, ძალზე სამწუხაროა, რომ ტრადიციულ თანაგრძნობას ვერ გამოვხატავთ ოჯახის მიმართ, წესისამებრ ვერ ვემშვიდობებით და ვაცილებთ სამარადისო სასუფეველში ჩვენს საყვარელ მეგობარს და კოლეგას, ბატონ თენგიზს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული.

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი;
პროფესორი სერგო ტეფნაძე;
პროფესორი გივი ლობჟანიძე;
პროფესორი დემურ ლელაძე;
ავიაკომპანია TCA-ს გენერალური დირექტორი ზაურ ქორთოშიძე;
ელგუჯა დვალი;
მერაბ ლაფაჩი;
დავით ქარქაშაძე;
შალვა კიკნაძე.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ტოკიოს ძველი სახელწოდება; 2. რაიონული ცენტრი რაჭაში; 3. პანიკური ჭორების გამავრცელებელი ადამიანი; 4. მუსლიმთა კალენდარი; 5. ქართულ ბალეტ „დემონის“ მუსიკის ავტორი; 8. გემის მზარეული; 9. მე-16 საუკუნის გერმანელი მხატვარი; 10. ორგანიზმის მემკვიდრეობითობის შემსწავლელი ბიოლოგიის ნაწილი; 12. თანამედროვე ქართველი მოქანდაკე; 13. ქიმიური ელემენტი, ინერტული აირი; 15. ფშავ-ხევსურეთის ძველი სახელწოდება.

თარაზულად: 1. ჩაღრმავებულგამოსახულებიანი ძვირფასი ქვის ნაკეთობა; 6. ფილტვების დაავადება; 7. ჩეხეთის ფეხბურთელთა გუნდი; 10. სახელმწიფოს სიმბოლო; 11. სახალხო მთქმელი შუა აზიაში; 13. ტბა ბათუმში; 14. პირველი გერმანული ოპერა; 16. ქართული ლუდი; 17. გამკვრივებული თევზის ნარჩენებისგან დამზადებული სამკურნალო ზეთისებრი ნივთიერება; 18. მთიანეთი აზიაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბრეცია; 2. ქააბა; 3. ტუბა; 5. ვოლანი; 6. უბისა; 7. მუსკატი; 11. ნარიტა; 13. ჰაიდუკი; 14. ქარვა; 15. პაპაინი; 16. წალკოტი; 17. აგუერო; 19. ოკაპი; 20. ცემი.

თარაზულად: 1. ბოქსიტი; 4. მძივი; 8. ბრუკი; 9. ლარი; 10. ციბონა; 12. იკებანა; 14. ქცია; 15. პიკადელი; 16. წირვა; 18. პრადო; 21. უნცია; 22. ტრამვაი; 23. პორტერი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჯიში; 2. ახო; 3. გარიბალდი; 4. ალაფი; 5. ზოსტერა; 8. შუმი; 9. ჰუპნოზი; 10. რობერტსი; 12. მცხეთა; 13. დაიმი; 15. დაზგა.

თარაზულად: 1. ჯანდარა; 6. ვატერლოო; 7. შაშვი; 10. რკინა; 11. ამური; 13. დანტე; 14. ბედია; 16. ელჩი; 17. ინვაზია; 18. როკაპი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

16 აპრილი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1334

ევრო — 3.4173

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.9158

100 რუსული რუბლი — 4.2165

ამინდის პროგნოზი 16 აპრილისთვის

გიორგი ცხადაძე მამა გახდება

ახმეტელის თეატრის მსახიობი და „მხოლოდ ქართულის“ მონაწილე გიორგი ცხადაძე მამა გახდება.

ეს სასიხარულო ინფორმაცია მსახიობმა და მისმა მეუღლემ სალომე ლემონჯავამ გაავრცელეს.

წყვილმა სპეციალურ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა და ეს სასიხარულო ამბავიც სწორედ აქედან გახდა ცნობილი.

გიორგიმ და სალომემ უამრავი მილოცვა და დადებითი სურვილები მიიღო.

რუსული ვიკიპედია ქვემო ქართლზე ინფორმაციას ამახინჯებს

ისტორიკოსი გიორგი კალანდია ავრცელებს ინფორმაციას რუსულ ვიკიპედიაზე, სადაც ქვემო ქართლთან დაკავშირებით ინფორმაცია დამახინჯებულია:

– რუსულ ვიკიპედიაში ისეთი საზიზღრობები და აღმაშფოთებელი სიცრუები წერია ქვემო ქართლზე, რომ გაოგნებული ვარ!

ამ დროს ჩვენი მოსახლეობის ნაწილი გულში მჯიღს იცემს და, უფრო უარესიც, რასისტული გამოხტომებითაა დაკავებული, მაშინ როცა, ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ, მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალის ასახვევად, აი, ასეთ სერიოზულ საინფორმაციო ომს აწარმოებენ.

აბა, ნახეთ რამხელა სქოლიოა, როგორი რუკებია გამოყენებული, როგორი სქემებია! ჩვენ რას ვშვრებით ამ დროს, ქართველები?! დროშებით და დრონებით მივდივართ საზღვართან და ვყვირივართ, ვბღავივართ, სანთლებს ვანთებთ, ვლოცულობთ და ვქვითინებთ, მერე კი აქ, სოციალურ ქსელში შხამსა და ღვარძლს ვანთხევთ!

მეორე მხარე კი მუშაობს, მუშაობს გეგმაზომიერად, მიზანმიმართულად, გონივრულად! სად არიან პატრიოტები, არასამთავრობოები, არ ვიცი ჰაკერები თუ სტუდენტები! სამშობლოს სიყვარული მარტო ლამაზი ლექსების წარმოთქმა, ან მოხდენილი სადღეგრძელოების ჩაწერა არაა, სამშობლოს სიყვარული კიდე საქმეა. რა მოხდება, ამ იზოლაციისა და კარანტინის პერიოდში ერთი ან ორი ჯგუფი რომ შეიქმნას, რომელიც რუსულ და ინგლისურ ენებზე შექმნის სათანადო სტატიებს და ვიკიპედიაში განათავსებს!

ქართული ვიკიპედია ბევრ საშვილიშვილო და კარგ საქმეს აკეთებს, ახლა საჭიროა უცხოენოვანი მხარის გაძლიერება!

გიორგი გვარჯალაძე მსოფლიოს ნამყვანი კომპანიის პირველ გვერდზე მოხვდა

ქართველი პროდიუსერი, კომპოზიტორი, ხმის რეჟისორი და „ლენო რექორდსის“ ხელმძღვანელი გიორგი გვარჯალაძე მსოფლიოს წამყვანი კომპანიის „პრიზმ საუნდის“ ვებსაიტის პირველ გვერდზე მოხვდა.

გიორგი წლებია ამ სფეროშია და საქართველოში ხმის შეუცვლელი რეჟისორია. ყველა, ვისაც ხარისხიანი ჩანაწერი სურს, თანამშრომლობისთვის მის ხმისჩამწერ სტუდიას აკითხავს.

საბედნიეროდ, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც „პრიზმ საუნდი“ გიორგი გვარჯალაძეზე წერს. 3 წლის წინ ამავე ჟურნალმა ქართველ პროფესიონალზე საკმაოდ ვრცელი სტატია გამოაქვეყნა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

16 აპრილისთვის

ვერძი – წინააღმდეგობრივი დღეა. პოზიტივი და ნეგატივი ერთმანეთს ენაცვლება. დიდ გეგმებს ნუ შეიმუშავებთ. **კურო** – საკუთარ თავისუფლებას ნურაფერზე გაცვლით. ინტუიცია არ გიღალატებთ. **ტყუპები** – ზნეობრივი პრინციპები მტკიცედ დაიცავით. შეუვალობა და უკომპრომისობა სავალდებულოა. **კირჩხიბი** – შორს გამგზავრება სხვა დროისათვის გადადეთ. დაუმთავრებელი საქმეები დღეს უნდა დაასრულოთ. **ლომი** – ახალი წამოწყება არ გაამართლებს. დროს ფუჭად ნუ გაფლანგავთ. **ქალწული** – კონფლიქტი გელით ახალგაცნობილ ადამიანებთან. ნებისმიერი ურთიერთობისას დიპლომატიურობა გმართებთ. **სასწორი** – დღის პირველ ნახევარში სიურპრიზს ელოდეთ. მიღებული ინფორმაცია დიდად არ გაგახარებთ. **ღრიანკალი** – წინასწარ ნურაფერს მოიმოქმედებთ. მოსალოდნელია ახალი, პერსპექტიული შემოთავაზება. **მშვილდოსანი** – პატიოსნება, ზნეობა და შინაგანი თავისუფლება დღის დევიზია. აკეთეთ ის საქმე, რომელიც კარგად გამოგდით. **თხის რქა** – მიღებული ინფორმაცია გეგმებს ძირფესვიანად შეგიცვლით. ნებისმიერი ურთიერთობა სიდინჯესა და შორსმჭვრეტელობას მოითხოვს. **მერწყული** – ენერგეტიკულად საკმაოდ მძლავრი დღეა. შემოსავალს მხოლოდ ძველი საქმეების დამთავრება მოგიტანთ. **თევზები** – ნერვებს გაუფრთხილდით. ენერგია დაზოგეთ. ნუ აჰყვებით ჭორებსა და ცრუ განგაშს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

ახალმა მასწავლებელმა მოსწავლეების ცოდნის დონის შემოწმება გადაწყვიტა და კლასს ეკითხება:

– აბა ვინ მეტყვის, ვინ აიღო ბასტილია?

– ჩვენ არ აგვიღია... – უპასუხა კლასმა.

გაოგნებული მასწავლებელი დირექტორთან შევიდა და მოყვა რაც იყო.

დირექტორი ეუბნება:

– მაგაზე არ იდარდოთ... თუ არ დააბრუნებენ, სასწავლო წლის ბოლოს ჩამოვწერთ.

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– გოგო, გუშინ ქმართან ერთად მაღაზიაში ვიყავი...

– მერე?

– მერე, სახლში, რომ დავბრუნდით და ნიღბები მოვიხსენით აღმოჩნდა, რომ ჩემი ქმარი არ იყო!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ხვალე სათევზაოდ წავიდეთ?

– არა!

– რატომ?

– ცოლმა სახლში დალევის უფლება მომცა.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– როდესაც ჩვენ ცხოვრებაზე ჩამოვარდება საუბარი ყოველთვის მხოლოდ ორი კითხვა ისმება: „ვინაა დამნაშავე?“ და „რა გავაკეთოთ?“

– რა მესამე კითხვაც არსებობს?

– რა თქმა უნდა! „ბოლოსდაბოლოს როდის დასრულდება ეს ყოველივე?“

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალგაზრდა ბრაზილიელი ფეხბურთელი დაიღუპა

ბრაზილიური გუნდის ახალგაზრდა ფეხბურთელი ტიაგო კორტესი ტრაგიკულად დაიღუპა. ტრავმის შემდეგ ის ფიზიოთერაპიას გადიოდა, როდესაც ცუდად გახდა და მისი გადარჩენა ვერ მოახერხეს.

კორტესი მხოლოდ 22 წლის იყო. ჯერჯერობით უცნობია, თუ რა გახდა მისი სიკვდილის მიზეზი, თუმცა, სავარაუდოდ, ეს გულის შეტევა იყო.

კორტესი ნახევარმცველი იყო და გუარანის ძირითად შემადგენლობაში თამაშობდა. ბრაზილიის ჩემპიონატი კორონავირუსის გამო დროებით შეჩერებულია და ახალგაზრდა ფეხბურთელს სათანადო პატივს ჩემპიონატის განახლების შემდეგ მიაგებენ.

დანიელე რუგანი კოვიდ 19-ისგან ბოლომდე გამოჯანმრთელდა



იტალიიდან კარგი ამბები ვრცელდება. ტურინის იუვენტუსის მცველი დანიელე რუგანი კოვიდ 19-ისგან ბოლომდე გამოჯანმრთელდა. მან ორი ტესტი გაიარა, რომელმაც აჩვენა, რომ რუგანის ვირუსი აღარ აქვს და ის სრულიად ჯანმრთელია.

რუგანიმ საზოგადოებას მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და თქვა, რომ ძალიან ბედნიერია.

ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ იუვენტუსის ფრანგმა ნახევარმცველმა ბლეზ მატუიდიმ დაამარცხა ვირუსი, პაულო დიბალა კი თავს უკეთესად გრძნობს და გამოჯანმრთელებასთან ახლოს არის.

კიკე სეტიენი: „ჩემპიონთა ლიგის მოგება მინდა“

ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა კიკე სეტიენმა თავის მიზნებზე ისაუბრა და თქვა, რომ მას ბარსელონასთან ერთად ჩემპიონთა ლიგის მოგება სურს.

სეტიენის აზრით, მის გუნდს ამის გაკეთება შეუძლია, თუმცა უცნობია, თუ როდის განახლდება სეზონი:

– მიყვარს ფეხბურთი და მის გარეშე ცხოვრება რთულია, მაგრამ სხვა გზა არ გვაქვს. ძალიან მინდა, რომ სეზონი მალე განახლდეს და ჩემპიონთა ლიგა მოვიგოთ. ეს ტურნირი განსაკუთრებულია და მისი მოგება ყოველთვის ჩემი ოცნება იყო.

იტალიის ჩემპიონატი შესაძლოა მარტო რომში ჩატარდეს

იტალიაში რამდენიმე ვარიანტს განიხილავენ იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება განახლდეს სეზონი და ერთ-ერთი ვარიანტია, რომ ყველა შეხვედრა რომში და მის ახლო მდებარე ქალაქებში ჩატარდეს, სადაც შედარებით ნაკლებად არის გავრცელებული კორონავირუსი.

ეს ვარიანტი საკმაოდ რეალურია, თუმცა ყველა მატჩის რომში ჩატარება საკმაოდ რთული იქნება, ამიტომ შესაძლოა იტალიის ჩემპიონატი საერთოდ არ განახლდეს და სეზონი ანულირებულ იქნას.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

კახა კინწურაშვილი კანონის აღსრულებას ითხოვს

მუსიკისა და დრამის თეატრის მსახიობი კახა კინწურაშვილი ქვეყანაში შექმნილ საგანგებო მდგომარეობას აფასებს:

– საგანგებო მდგომარეობის გამო, ჩემ გარშემო ბევრმა ადამიანმა დაკარგა სამსახური. ზოგს ხელფასი გაუნახევრეს და ზოგს დღიურად გაქირავებული სახლები გამოკეტილი აქვს. ამ ადამიანებიდან ზოგიერთი 2 ოჯახს არჩენდა. ვიღაცის ხელფასის ნახევარი წამლებში მიდიოდა. თითო კაპიკს და კალორიებს ითვლიან, რომ გადარჩნენ და მაინც კანონს ემორჩილებიან რომლითაც იკრძალება ახლო დისტანცია, იმიტომ, რომ ვირუსი, რომელიც ზოგიერთს კლავს, ჰაერწვეთოვანი გზით გადადის. შესაბამისად არ შეიძლება გადაკოცნა, ჩახუტება, ერთი ჩანგლით ჭამა და არც ერთი კოვზით მოსმა!

გიფიქრიათ, რომ ამ პირობებში, თქვენი რწმენის დასამტკიცებლად, კანონს არღვევთ? ერთი წამით დაუშვით, აღდგომის მერე ინფიცირებულების ციფრი რომ საშინლად გაიზარდოს?! ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ კარანტინი დიდი ხნით გაგრძელდება და ამას ჩვენი ღარიბი სახელმწიფო ვერ გაწვდება? ეს ხომ ხალხს უფრო გააღარიბებს? თუ დღეს ყოველი მეხუთე ბავშვი სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა, ზეგ ხომ შეიძლება ყოველი მეორე აღმოჩნდეს? თუ დღეს სამი გარდაცვლილია, ხომ შეიძლება, რომ სამასი გახდეს? თქვენ შეიძლება რწმენას იძლიერებთ, მაგრამ ამით კანონს არღვევთ, რომელიც ყველას ეხება განურჩევლად მისი მრწამსისა. ადამიანები, რომლებიც შიმშილს იტანენ, შეიძლება თქვენ გამო მოკვდნენ...

გთხოვთ, დაფიქრდით ამაზე. საქართველოს მთავრობა, შინაგან საქმეთა სამინისტრო – თქვენ კიდე ნუ ევაჭრებით საპატრიარქოს და კანონი აღასრულეთ! რაც თქვენი პირდაპირი მოვალეობაა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. კლდეში ნაკვეთი ქალაქი საქართველოში; 2. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 3. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი ნიუ იორკში; 5. ნეფე-დედოფლის თანმხლები პირი ქორწილში; 6. ნიადაგის ფართობის საზომი ერთეული ძველად საქართველოში; 7. მათემატიკის ნაწილი; 11. საგნის ზეპირად გადმოცემა უმაღლეს სასწავლებელში; 13. ლიტერატურული ნაწარმოების შესავალი ნაწილი; 14. კუნძულოვანი სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვაში; 15. მდინარე ახალციხეში; 16. ქართული ხალხური სანადიმო სიმღერა; 17. კურორტი, ნავსადგური საქართველოში; 19. საშობაო სიმღერა; 20. მდგომარეობა ჭადრაკში.

თარაზულად: 1. ისტორიული მოედანი პარიზში; 4. ხორცპროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 8. ბრიტანეთში მოღვაწე ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 9. ქვით ნაგები ღობე; 10. მდინარე ყვირილას შენაკადი; 12. ბრაზილიის ნაკრებისა და „პ.ს.ჟ“-ს ფეხბურთელი; 14. მაღალმთიანი სოფელი ხევსურეთში; 15. ესპანური ცეკვა გიტარისა და კასტანიეტების თანხლებით; 16. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 18. ბოსტნეულის მავნებელი მწერი; 21. ზღვის ფრინველი; 22. რაიონული ცენტრი სვანეთში; 23. ბანქოს სათამაშო მაგიდა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა